ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

1980 | 14 ნოემბერი, პარასკევი
№ 46 (2223)
გამოცემის 48-ე წელი

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

11 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ამოცანები მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და ახალ სამეურნეო წელს საქართველოს სს რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის საქმეში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მექანიკოსი ზეინკალი ვ. მ. გონჩაროვი, საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ე. ქაპბა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარე ი. გ. გვერდწითელი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ა. ოდიშვილი, გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი რ. ნ. თევზაძე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. დ. რუხაძე, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. ა. პატეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. ასლანიკაშვილი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ლაკია, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ო. ა. ხრისტიანოვი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი შ. ა. ყარაულაშვილი.

ინფორმაციები — საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების ზოგიერთ საკითხზე გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ზ. ა. ანანიაშვილმა.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის ს. ე. ხაბეიშვილის ინფორმაცია რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

ანგარიშგება-არჩევნების დროს სამინისტროებისა და უწყებების მისამართით კომუნისტების მიერ პირველადს პარტორგანიზაციებში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. ნ. დავითაშვილმა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ნ. ვ. ვაშაძემ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ვ. ა. სოგოლევმა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ი. კოგახიძემ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, და რეკომენდაცია მისცა შეიტანონ ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

შემდეგ პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. ვ. მ. ხინთბა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ო. ზ. ქაჯაია, რომელიც გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგის თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. ლ. ი. მგალობლიშვილი.

(საქინფორმი)

საყრილობო ვახტზე

ფოთის საზღვაო პორტის პირველი რაიონის მოწინავენი, მე-4 ბრიგადის მწონავი გ. ამბალია და დოკერ-მექანიზატორი მ. ლაშხია წარმატებით ასრულებენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. მათ პირობა დასდეს ყოველთვიურად 140-150%-ით შეასრულონ საწარმოო გეგმა.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

მწერალი მივლინებაში

გიორგი გიგაური

არაგვო, უყარაულე...

ნარკვევი

ჟინვალში ოთხივე არაგვს ერთად გაესაუბრებით, მოუსმენთ ბუმბერაზი მთების ოთხ მძლავრად აჟღერებულ სიმს.

აქ იყრიან თავს ფშავის, ხევსურეთის, გუდამაყრისა და მთიულეთის აქაფებული მდინარეები. აქ მზის სხივებზე ვერცხლივით ლაპლაპებს ქვიშა — ოთხი არაგვის ჩამონატანი.

არაგვო, უყარაულე! — მღეროდა ხალხი... და იგიც ყარაულობს კლდოვან ქარაფებსა და ატეხილ ჭალებს, ძველისძველ სოფლებსა და ციხე-სიმაგრეებს.

ჟინვალის მშენებლობა, რომელსაც ავთანდილ ჩაღიაძე ხელმძღვანელობს, დღეს ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანია რესპუბლიკაში. მან რამდენიმე პრობლემა უნდა გადაწყვიტოს — ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდების, დედაქალაქის სასმელი წყლით უზრუნველყოფის, ბაღვენახებისა და ველ-მინდვრების მორწყვის პრობლემები...

და აი, ისევ ჟინვალში ვარ.

პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი შამლეტ ქერესელიძე კაშხალისა და გვირაბებისაკენ მიმავალ გზას მილოცავს. მეგზურობას მშენებლობის უფროსის მოადგილე ავთანდილ ნებიერიძე და პარტიული კომიტეტის მდივანი ავთანდილ თეთრუაშვილი კისრულობენ. მათ ხელისგულივით იციან ათობით ჰექტარზე გაშლილი სამშენებლო უბნების ავ-კარგი.

მთებთან შეზრდილ ვაჟკაცებს საოცრად შვენით უბრალოება და გულთბილობა, ხალისი და სილაღე.

კაშხალის ვეება გულზე დავდგით ფეხი და თვალწინ არაგვის მიდამოები გადაგვეშალა.

„დამწყნარებულმა, არაგვო, რომ გნახე, გავიხარეო“, — მთებიდან ისმის ვაჟას ხმა.

შეუპოვარი იყო ვაჟას არაგვი, მან ყველა დაბრკოლება გაარღვია და გაივაკა.

ახლა?

ახლა არაგვს სხვა ჯიშის ზღუდეს უგებენ ბიჭები, აგრგვინებულ მდინარეს რომ დაამშვიდებს, ზღვად მონათლავს. ხალხის სამსახურში ჩადგებიან ზვირთები, ახლა ტინებზე ბრძოლივით რომ იმსხვრევიან.

კაშხალზე სამ მილიონამდე კუბური მეტრი ხრეში და თიხაა შეტანილი. მისმა სიმაღლემ ორმოცდაჩვიდმეტ მეტრს გადააჭარბა, საბოლოოდ კი ას ათ მეტრს მიაღწევს და საიმედოდ გადაკეტავს ჟინვალის კლდეკარს.

ჟინვალის საგუბარი ხუთას მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს. „ზღვა“ ფასანაურისა და მაღაროსკარის მიმართულებით განშტოვდება და ორწოხებს შორის ვეება სამკუთხედივით ჩაეფინება.

გონების თვალით ვჭვრეტ ჟინვალის ხვალინდელ დღეს:

მწვანედ აქოჩრილი ტყეების ადგილზე ლურჯი ტალღები ილივლივებენ.

თევზსაშენი მეურნეობა მოეწყობა ზღვაზე, ნავები და კატერები დასერავენ მის კამკამა ზედაპირს.

ზღვის ირგვლივ, მთათა ფერდობებზე გაყვანილ გზატკეცილს შავი საფარი დაამშვენებს.

მშრომელთა დასვენების კერად გადაიქცევა ანანურის, თვალივის, გუდრუხის სანახები...

ახლა კი დიდი ორომტრიალია ჟინვალში. დღე და ღამე არ ცხრება მექანიზმების გუგუნი. „კრაზები“ და „ბელაზები“ დაჰქრიან მომავალი ზღვის ფსკერზე და კაშხალზე ყოველდღიურად ათასობით კუბურ მეტრ ხრეშს ყრიან, ასობით კუბურ მეტრ ბეტონს ასხამენ.

ავთანდილ ბერიანიძე გვიყვება:

— იყო დრო, როცა ტექნიკა გვიჭირდა. ბულდოზერები და ექსკავატორები თითებზე ჩამოითვლებოდა. არც სატკეპნი და თვითმცლელი მანქანებით ვიყავით განებივრებული, ამიტომაც მშენებლობა ნელი ნაბიჯებით მიიღოლავდა. დღეს ამ მხრივ კარგად გვაქვს საქმე. მარტო ორასზე მეტი ავტომანქანა გვემსახურება.

ჩვენს გვერდით „კრაზმა“ დაამუხრუჭა. მძღოლი მკვირცხლად გადმოხტა, მოგვესალმა.

— ეს ჩვენი გიაა, გვარად უნდილაშვილი, მაგრამ უნდილი სულაც არ არის, ცეცხლივით ვაჟკაცია, მოწინავე მძღოლის სახელი აქვს მშენებლობაზე, — მაცნობს პარტიული კომიტეტის მდივანი.

გია კაბინაში ადის და მანქანას ცლის. ხრეში ხრიალ-ხრიალით ზვავდება კაშხალზე.

— ესეც მერვე. საღამომდე ხუთ რეისსაც მოვასწრებ.

— მოასწრებ, შენ ისეთი ბიჭი ხარ, მაგრამ სხვებსაც შეეხმიანე, იჩქარონ, — ავალებს ნებიერიძე.

— ეს მისი საქმეა, — ხელით უჩვენებს ჩვენსკენ მომავალ კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელზე ოთარ ბიბაშვილზე.

ოთარი არ იბნევა.

— მძღოლებს სამდურავი არ ეთქმით, დღიურ ნორმას ყველა გადაჭარბებით ასრულებს, ხრეშისა და თიხის გაშლასა და დატკეპნას ძლივს ავუდივართ.

— მაშინ მტკეპნავებს უნდა შეფიცხება.

— მათ დინჯი მანქანები ჰყავთ და ათასიც შევაფიცხოთ, მეტად ველარ აჩქარდებიან.

სატკეპნებს ზღაპრული დოლაბებივით დააგორებენ ტარიელ ებრაელიძე, კოსტა ხოსროშვილი, ვანო ქავთარაძე. მათ ქუსლებქვეშ მთა და ბარი სწორდება.

კაშხალის მარცხენა ნაპირზე ბულდოზერი გაუჩერებიათ და მექანიზატორები რაღაცას ჩხირკედელაობენ.

ბრიგადირი გვიხსნის:

— რა ვქნათ, რკინაა, იცვითება, ტყდება. ახლაც ბიჭები ნაწილს უცვლიან. ყოჩაღი მექანიზატორები გვყვანან. ოღონდ მარაგნაწილები ნუ მოაკლდებათ და ყველაფერს თვითონ აკეთებენ. აი, ტრისტან აფციაური, რომელიც მთებიდან დიდი ხანი არ არის რაც ჩამოვიდა, ამ ვეება მანქანების ნამდვილი გულის მესაიდუმლე გახდა. ასე არიან სხვებიც.

— ვინ გყავს მხედველობაში?— დაინტერესდა ავთანდილ თეთრუაშვილი.

— ტრისტანის კოლეგები გოგი ხუროშვილი, ნოდარ კიკნაძე; მეექსკავატორეები იური ნაროუშვილი, სოსლან თომაევი; „ბელაზის“ მძღოლები ტიტე მანაგაძე, შალვა პავლიაშვილი და ბევრი სხვა.

— ხელი მოგემართოთ. ხუთწლედი იწურება და თქვენი შრომითი წვლილიც სჭირდება მას, — კომუნისტთა მეთაური ამ სიტყვებით ტოვებს კაშხალს.

გეზი მაგისტრალური გვირაბისაკენ ავიღეთ.

მზეს არაგვზე ვტოვებთ და გვირაბში ვეშვებით. აქა-იქ ილიჩის ნათურები კიაფობენ. მერე მიწისქვეშეთი თანდათან ნათდება და გვირაბგამყვანებს პირისპირ ვხვდებით.

— ეს მეოთხე სანგრევია, — მეუბნება თეთრუაშვილი, — აქ მუშაობს კომუნისტი ანზორ მუზაშვილი, რომელიც ოცდაათკაციან ბრიგადას ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს.

ბრიგადირს ვთხოვ გვირაბგამყვანებზე მიამბოს.

— სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია. მანქანა ბურღავს, აფეთქებს, ქანებს ტვირთავს ვაგონეტებზე. ტექნიკა რომ არა, მარტო შიშველი ხელით გაგვიჭირდებოდა ამხელა გვირაბების გაყვანა.

— უფრო კონკრეტულად...

საუბარში ავთანდილ ნებიერიძე ერევა.

— მაგისტრალური გვირაბის სიგრძე რვა კილომეტრი და რვაასი მეტრია. აქედან ექვსი კილომეტრი უკვე გაყვანილია. ამასთან გაგვყავს რამდენიმე მცირე კვეთის გვირაბიც, რომელთა საერთო სიგრძე ოც კილომეტრს გადააჭარბებს.

— და არაგვს თბილისის ზღვამდე მიიყვანს, არა?

— დიახ, მაგრამ სანამ არაგვი საგუბარში ჩაედინება, საფილტრ სადგურს გაივლის. გაწმენდილი წყალი მოთხოვნილების მიხედვით მიეცემა თბილისის მოსახლეობას, დანარჩენი კი თბილისის ზღვას შეემატება.

საფილტრ სადგურს წლების განმავლობაში აშენებდა ავთანდილი. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობაა ჟინვალმშენის სისტემაში.

ანზორ მუზაშვილი მოკლე განკარგულებებს იძლევა. ბურღი სადგისივით მიძვრება ქვიან მიწაში. სავსე ვაგონეტები ტაატით მიირხევიან.

ბრიგადირს ვეუბნები:

— შენი ბიჭები მძიმე საქმეს ეჭიდებიან, მაგრამ, ეტყობა, საქმეს კარგად ართმევენ თავს.

ყველა როდი გამოდგება გვირაბგამყვანად. დღის სინათლეს მოწყვეტილ კაცს მტკიცე ნებისყოფა სჭირდება და აქაც სწორედ ასეთები არიან. ვეტერანების გვერდით შეხვდებით სანაქებო ახალგაზრდებს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამირან მოთიაშვილმა მუყაითობით შეგვაყვარა თავი, საპატიო დაფაზე დაიმკვიდრა ადგილი.

პარტიული კომიტეტის მდივანი გაახარა ახალგაზრდა კომუნისტის შექებამ და კომუნისტთა კაიკაცობაზე მოკლედ გვითხრა:

— ორას ორმოცი პარტიის წევრიდან ას სამოცდაათი ფიზიკურად მუშაობს. ისინი ავანგარდულ როლს ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში.

თეთრუაშვილი არანისელი კაცია, მოწმეა მშენებლობაზე პირველი ბარის დაკვრისა, პირველი ექსკავატორის აგუგუნებისა.

ფართოვდებოდა მშენებლობა, ვაჟკაცდებოდა ავთანდილი... და როცა კაშხალმა მისი სოფლის კალთებთან მოიკეცა მუხლი, როცა ხელოვნური მთა თანდათან ამაღლდა, იგიც პირნათელი დგას მშენებელთა წინაშე. კომუნისტების თავკაცი ცდილობს პარტიის ოცდამეექვსე ყრილობას ღირსეული საჩუქრები მოუმზადოს.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჟინვალის მშენებლობაზე წელს ერთ მილიონზე მეტი მანეთის ზეგეგმითი სამუშაოები შესრულდება.

ციფრი რეალურია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ჟინვალელებმა შვიდ თვეში მილიონ 86 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს გეგმის გადამეტებით.

მშენებლობაზე გონივრულად იყენებენ ტექნიკას, ითვისებენ ახალს, მეორე სანგრევში გამართულად მუშაობს მექანიზებული ფარი, რომელიც დღე-ღამეში მეტრნახევარი სიგრძის მზა გვირაბს აბარებს მშენებლებს.

ასეთი ფარი რესპუბლიკაში პირველად თბილისის მეტრომშენებლებმა გამოიყენეს და ამით მიწისათვის გულის გახსნა დიდად გააადვილეს. ახლა კი ჟინვალშიც იმკიან უახლესი მანქანის სიკეთეს...

მექანიზმების ხმაური არ მიშლის ფიქრებთან განვმარტოვდე, ვიგრძნო ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მაჯისცემა, მიწისქვეშა ელექტროსადგურის შუქნათელი.

ვერტიკალური გვირაბიდან ასხლეტილი არაგვი მთელი სისწრაფით დაატრიალებს 130 ათასი კილოვატსაათის სიმძლავრის ტურბინებს, წყალი და ლითონი სინათლედ იქცევა.

ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური წლიურად 500 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს; ამით ახალ სიტყვას იტყვის რესპუბლიკის ელექტროფიკაციის განვითარების საქმეში.

აქ ერთი ამბავიც იპყრობს ყურადღებას: მართალია, არაგვი გვირაბებით თბილისის ზღვისაკენ გაემართება, მაგრამ მისი ერთი ნაწილი ძველი კალაპოტით ივლის.

არაგვი ისევ იარაგვებს ბულაჩაურის, ჰოპორტის, საგურამოს მიდამოებში, ძმურად გადაეხვევა მტკვარს მცხეთასთან, ისევ შეეხმიანება წიწამურსა და ბებრისციხეს, ჯვარსა და სვეტიცხოველს.

დიახ, ეს ყოველივე გაითვალისწინეს დამპროექტებლებმა და მთის მდინარეს ბარშიც შეუნარჩუნეს დიდებული სახელი.

ამაგდარ ადამიანებს სხვაც ბევრი ჰქონდათ გასათვალისწინებელი და გაითვალისწინეს კიდევაც. მარტო ის რად ღირს, რომ ჟინვალის ზღვა არ დაფარავს ანანურის ულამაზეს ციხე-სიმაგრეს, არ დაშლის ბევრის მნახველსა და გამგონე ბურჯებს.

მათ წყალი მხოლოდ მუხლებზე ეამბორება, ახალი დროის ადამიანთა გმირობაზე მოუყვება, უმღერებს მზიანი ეპოქის სადიდებელს...

მარტო მშენებლები როდი ამაყობენ ჟინვალით. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ჩვენი საოცარი წარსულის კვალმაძიებლებს. „ეძებე და ჰპოვე“... ეს ბრძნული გამონათქვამი მათი დევიზია. მათი ნიჭი და გონების თვალი გარდასულ საუკუნეებს სწვდება, აცოცხლებს ქართველი ერის ისტორიას.

ავთანდილ ნებიერიძე აღტაცებულია:

— არქეოლოგებმა დღესაც იმარჯვეს. ამ დილით ციდაცა დიდებულის სამაროვანში ორ ოქროს ბეჭედსა და სამაჯურს მიაგნეს. ისე კი, ძნელია ჩამოთვალო გათხრებისას მიკვლეული სიმდიდრე.

ვინ იცის, არაგვზე მხრებგაშლილ ქალაქს თავის დროზე რამდენი გმირი ჰყავდა, რამდენი ლამაზმანი, რამდენი ხმალი გადამსხვრეულა მტრებთან ბრძოლაში.

წლებთან მკლავებდამძიმებული, მხოლოდ ერთხელ დამარცხებული და დაღლილი პატარა კახიც ხომ ჟინვალმა შეიფარა. აქ დასცა კარავი დიდმა ერისკაცმა და აქ დალია სამასი არაგველის შესანდობარი.

არაგვი ისევ მიელის შინმოუსვლელებს, ისევ ყარაულობს მათ ნაკვალევსა და ნაკვნარს...

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის პირველი რიგი 1983 წელს დასრულდება. ანკარა ტალღები ესტუმრებიან თბილისს. ქალაქი დამატებით ორასი ათას კუბურ მეტრ სასმელ წყალს მიიღებს დღე-ღამეში. მას ამდენივე წყალი შეემატება მეორე რიგის დამთავრებისას.

გაუჩნდა ახალი საზრუნავი არაგვს, საქართველოს გულში აჭრიალებულ აკვნებსაც უნდა უყარაულოს.

უნდა უყარაულოს ცისკენ ატყორცნილ მრავალსართულიანი სახლების ბინადართ.

უნდა უყარაულოს საკუთარი ზვირთებით მორწყულ ველებს, ზვრებს, ბაღებს.

უნდა უყარაულოს სილამაზესა და სიმშვიდეს.

უყარაულე, არაგვო!..

იღვწოდე ხალხისათვის

გვესაუბრება გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

მაშ ასე, ცნობილი გახდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ახალი ლაურეატები, რომელთა შემოქმედებამ გაამდიდრა საბჭოეთის ლიტერატურისა და ხელოვნების საგანძური და მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის აყვავების ნათელი დადასტურება გახდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ცნობილ უკრაინელ პროზაიკოსს პავლე ზაგრებელნის რომანისათვის „გაქანება“. ეს ნაწარმოები ალალმართლად და დამაჯერებლად მოგვითხრობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აქტიურ, პრინციპულ პოზიციას ადგე ცხოვრებაში. ავტორი ასახავს იდეათა ჭიდილს თანამედროვე მეცნიერების სამყაროში, გვიჩვენებს, თუ რა შეურიგებელი კონფლიქტი იქმნება, როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან საქმისათვის უანგაროდ თავდადებული, შემოქმედი ადამიანები და თავკერძა, თავიანთი ვიწრო სამყაროსა და პირადი ინტერესების მიღმა ყველაფრისადმი გულგრილი პიროვნებანი, რაც რომანში ქმნის აზრებისა და გრძნობების დაძაბულ ატმოსფეროს.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების გზაზე ნიშანსვეტებად ქცეული ბოლო წლების პიესებისათვის პრემია მიენიჭა ცნობილ დრამატურგს ალექსი არბუზოვს. მისი ნაწარმოებების გმირები სულით ძლიერი, მტკიცე რწმენის, მომავლისაკენ პოეტური სწრაფვის ადამიანები არიან. სცენაზე განსახიერებული მათი ბედი, ნათელი და მტკიცე ხასიათები ამკვიდრებს პატრიოტიზმს, ჩვენი საზოგადოების მაღალ ზნეობრივ ნორმებს, სიკეთის დიადი ძალის რწმენას.

უზბეკეთის სახალხო მწერლის ხამიდ გულიამის რომანი „უკვდავება“ ეძღვნება ამ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებს. მასში მკაფიოდ არის გადმოცემული ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში 20-იანი წლების რთული სოციალურ-კლასობრივი ბრძოლა. ეს ნაწარმოები არსებითი წვლილია. შუა აზიის რეალისტური პროზის განვითარებაში.

ხალხის გმირობას — ყამირის ათვისებას ასახავს ორსერიიანი მხატვრული ფილმი „პურის გემო“, რომელიც მოსკოვისა და ალმა-ათის კინემატოგრაფისტებმა შექმნეს რეჟისორ ალექსი სახაროვის ხელმძღვანელობით. პრემია მიენიჭა შემოქმედებითი კოლექტივის დიდ ნამუშევარს, რომელმაც შეძლო შთამბეჭდავად და ალალმართლად ეჩვენებინა ეკრანებზე უმაგალითო მასშტაბის ბრძოლა პურისათვის, რომელიც მიმდინარეობდა არა მარტო მინდვრებში, არამედ მეცნიერთა ლაბორატორიებში, საწარმოებში და მშენებლობებზე, პარტიულ ხელმძღვანელთა კაბინეტებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა კოლექტივს რეჟისორ ლანა ღოღობერიძის მეთაურობით ფილმისათვის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. ავტორებმა მაყურებელს გააცნეს ჩვენი თანამედროვე ქალი, ნიჭიერი, სულიერად მდიდარი ადამიანი. სოფიკო ჭიაურელის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული მთავარი გმირის როლი უთუოდ დაამშვენებს სახელოვანი საბჭოთა ქალების ეკრანული სახეების გალერეას.

ქვეყნის კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა კიევის ი. ვ. ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლები „შმაგი ანგელოზი“ და „ძია ვანო“. თანამედროვე პიესაში მაყურებელმა იხილა დიდი და სხვადასხვა ხასიათები, რომელთაც ეპოქის განუმეორებელი ნიშანი ატყვიათ. „ძია ვანოში“ კი თეატრმა შეძლო ეჩვენებინა ჭეშმარიტად ჩეხოვისეული გმირები, ახლებურად და საინტერესოდ წარმოედგინა ნაწარმოები, რომელსაც დიდი სცენური ისტორია აქვს. პიესა „შმაგი ანგელოზის“ ავტორი ალექსი კოლომიეცი, ორივე სპექტაკლის დამდგმელები და მთავარი როლების შემსრულებელნი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები გახდნენ.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტმა, ბალერინა ირინე კოლპაკოვამ დიდი ხანია პოპულარობა მოიპოვა კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის პარტიების შესრულებით. ზეშთაგონებით, მაღალი საშემსრულებლო კულტურით გამოირჩევა ცეკვის ეს დიდოსტატი, რომელსაც დღეს პრემია მიენიჭა.

ლაურეატები გახდნენ აგრეთვე აზერბაიჯანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე დადგმული ბალეტის „ათას ერთი ღამის“ შემქმნელები. კომპოზიტორმა ფიქრეთ ამიროვმა, სპექტაკლის დამდგმელებმა და შემსრულებლებმა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის შედევრზე მუშაობისას არ უღალატეს ეროვნული ფოლკლორის ტრადიციებს და მაღალი ოსტატობა გამოავლინეს.

ტელემაყურებლისათვის კარგად არის ცნობილი ცენტრალური ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველის ალექსანდრე კავერზნევის სახელი. მისი ფართო ერუდიცია, პოლიტიკური სიფხიზლე და პუბლიცისტური მგზნებარება ნათლად ვლინდება საერთაშორისო კომენტარებშიც, რომლითაც ავტორი მუდამ გამოდის ტელეეკრანზე, და ისეთ დიდ ნამუშევრებშიც, როგორიც არის გადაცემების ციკლი „მაოს მემკვიდრენი“, დოკუმენტური ფილმები „გაზაფხული პნომპენში“ და „კუბის პორტრეტები“. ტელევიზიის დარგში კიდევ ერთი პრემია მიენიჭა პროფესორ ს. პ. კაპიცასა და ლ. ნ. ნიკოლაევს მუდმივი პროგრამისათვის „აშკარა — დაუჯერებელი“, ტელეფილმებისათვის „ჩასწვდე მიუწვდომელს“, „ცოცხალი სამყარო“, „საიდუმლო“. თანამედროვე მეცნიერების ყველაზე რთულ პრობლემებზე პოპულარულად თხრობის, მეცნიერული ძიების რომანტიკით, ტელემაყურებლის გატაცების უნარით გამოირჩევა ეს ნამუშევრები.

ფილოსოფიური სიღრმე და ადამიანთა ხასიათების ფაქიზი გამოკვლევა, მათი გაბედული განვითარება ახასიათებს კომპოზიტორ გიორგი სვირიდოვის შემოქმედებას. ეს თვისება მთელი სისრულით გამოვლინდა ოსტატის ახალ ნამუშევარშიც. ეს არის კონცერტი გუნდისათვის „პუშკინის გვირგვინი“, კომპოზიტორმა დიდი მხატვრული ტაქტით განასახიერა მუსიკაში დიდი პოეტის ლექსების ხატოვანი წყობა.

დიმიტრი კაბალევსკის შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული სიყმაწვილის თემასთან. № 4 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის („პრაღული“), გამოირჩევა ხალხურ ნიადაგზე შექმნილი ფორმის სიზუსტით, მკაფიო მელოდიურობით. იგი გამსჭვალულია ოპტიმიზმითა და სიცოცხლისუნარიანობით. ეს ნაწარმოები ახალი დადასტურებაა კომპოზიტორის მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისა მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის დარგში.

საპატიო ჯილდო მიენიჭათ ტალინში დადგმული მწერალ ა. ტამსარეს ძეგლისა და დუშანბეში დადგმული მწერალ ს. აინის ძეგლის ავტორებს. ეს ნაწარმოებები დამთვალიერებელს აზიარებენ გამოჩენილ სიტყვის ოსტატთა სულიერ სამყაროს, ეხმარებიან ჩასწვდნენ მათი აზრებისა და იდეების სიდიადეს.

მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთის ტროპარევოს საცხოვრებელი მასივის არქიტექტორებმა, ინჟინრებმა, მშენებელ-მემონტაჟეებმა შექმნეს მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიცია, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს კარგ პირობებს მოსახლეობისათვის, არამედ მკაფიო მხატვრული იერით ფერების მარჯვე გადაწყვეტითაა აღსანიშნავი. ეს ნამუშევარი — ინდუსტრიული მშენებლობის განვითარების ახალი ეტაპი ხასიათდება მასობრივი საცხოვრებელი ნაგებობების გაუმჯობესებული ხარისხითა და ესთეტიკური გამომსახველობით. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ აგრეთვე ალუშტის ბანაკ-პანსიონატის „ჩაიკის“ არქიტექტორებსა და მშენებლებს, რომლებმაც მარჯვედ გამოიყენეს შავი ზღვის სანაპიროს მთაგორიანი რელიეფი და შექმნეს თვალისგასახარელი სადღესასწაულო ანსამბლი.

ახალ ლაურეატთა შორის არიან ფუნდამენტური შრომების ავტორები ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დარგში. ეს არის აკადემიკოსი მ. ბ. ხრაპჩენკო, რომელმაც დაწერა წიგნი „მხატვრული შემოქმედება, სინამდვილე, ადამიანი“, რითაც ახალი სიტყვა თქვა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. დახვეწილი მხატვრული ანალიზით, მეცნიერული სიღრმით გამოირჩევა ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორის ვ. ს. კემენოვის წიგნები „ველასკესის სურათები“ და „ველასკესი სსრ კავშირის მუზეუმებში“.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მინიჭება ყოველთვის საბჭოთა კულტურის შემოქმედების მიღწევათა დათვალიერებაა. საბჭოთა ადამიანები ულოცავენ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს დიდ წარმატებებს და ელიან მათგან ჩვენი გმირული დროისადმი მიძღვნილ ახალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს.

(საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ რ ი ტ ი კ ა

ჩანაწერები პოეზიის სამყაროში

გიორგი ხუხაშვილი

ერთი ლექსის და...

დამამახსოვრდა მძაფრად, თან დამყვებოდა, თითქოს წაკითხული კი არა — ცხადად განცდილი. შთაბეჭდილება იყო შემძვრელი, უჩვეულო და მოულოდნელი. თანაც იმ მწერლისგან კარგად რომ იცნობ, ათას ხმაში რომ გამოარჩევ მის ხმას, კილოს, მანერას. შეჩვევა თურმე არ ნიშნავს ამოწურვას. როცა გგონია სათქმელი გაუთავდა, კვლავ განგაცვიფრებს. შთაგონების მოუსვენარმა ცხოვრებამ ზღვარი და სიმშვიდე არ იცის. ის მუდამ მანამდე მიუკვლეველს ეტანება. თმა გაუთეთრდა, თითქოს მუხლიც დაეღალა, მაინც მიდის, ცხოვრებას კი არ შორდება, პირიქით უახლოვდება. ლექსებში საკუთარ თავზე იშვიათად ლაპარაკობს, ადამიანებს ხედავს, იმათ პორტრეტებს ხატავს, იმათი გულიდან ამოჰქვს წუთისოფლის დუღილი. არ ვიცი რა ჟანრს მივაკუთვნო, ბალადას, ლირიკულ პოემას, თუ გალექსილ მოთხრობას. „საახალწლო მოთხრობა“ დაურქმევია მურმან ლებანიძეს. თუ პროზა ხშირად დაინათესავებს პოეზიას, პირიქით რომ მოხდეს, რა იქნება? ამ გალექსილ მოთხრობაში დიდი წყურვილია პროზისა და პოეზიის განსხვავებული ორი სტიქიის შეერთებისა. სათქმელი ყელშია მოწოლილი და თვითონვე პოულობს თავის კალაპოტს.

ლიტერატურის მდინარებას ზოგჯერ ისე ეჩვევი, როგორც ერთიდაიმავე ტრამვაის მარშრუტით სიარულს. ერთ მშვენიერ დღეს ვეღარც კი ამჩნევთ, რომ ტრამვაი სხვაფერად შეუღებავთ. ეს კი, „საახალწლო მოთხრობა“ შუა მოედანზე, გაფართოვებული ქუჩების მოძრაობაში გადარჩენილ ხეს ჰგავს. ის არ არის ჩვეულებრივი, მოძრაობის ერთფეროვან მდინარებას არ ემორჩილება. რა მომეწონა, რამ ამაღლვა და გამიტაცა? ლექსში დატეულმა ცხოვრებამ, ადამიანებმა, იმათმა ტკივილიანმა და ყელამდე მართალმა სიყვარულმა. პროზაა ჭარბად? იყოს პროზა, თუ ასე შეგძრავს და მანამდე განუცდელს განგაცდევინებს.

მურმან ლებანიძეს ადრეც დაუწერია რაჭული სოფლების სატკივარზე, გაზშირებულ ბოქლომებზე, მიტოვებულ კერებზე, ჩამქრალ ბუხრებზე. იქნებ ახლაც ამ თემას უტრიალებს? მივყვეთ. აი, საკმაოდ პროზაული ინფორმაცია: „ლებანიძის ოთხმოცი კომლი და გოშაძისაც ამდენივე ყოფილა თურმე, დღეს დიდი-დიდი ოციოდე ბუხარი ენთოს“. თითქოს იგივე მოტივებია ადრინდელი ლექსებისა, მაგრამ... თოვლიანი სივრცის თეთრი ეკრანი უცებ გაიხსნება და მკვეთრად ჩნდება ადამიანთა მწირი ცხოვრება. „ერთი მათგანი ბუხარია წყალგამა ვლასის, პოდპოლკოვნიკის, ჯაფარიძის კაცურიკაცის, ხოლო მეორე ლებანიძეს ეკუთვნის ბესოს, კლდეკაცია და კლდის ნაპობი უმშვენებს ეზოს“. ამ ორი კაცის ცხოვრებაში სამშობლო მოჩანს. თითქოს მათი ცხოვრების დიდი რომანი წაგეკითხოს, ისე ხედავ ამ ორ ადამიანს, ორ ხასიათს, ორი მამაკაცის მეგობრობას. თითქოს გინახავს ისინი ვენახსა თუ ხანადიროში, შეგიმჩნევია, როგორ აზვევენ თუთუნს, როგორ ხვამენ ღვინოს, ან ისვრიან თოფებს ახალწლის თოვლიან დილას. უიმათოდ არ არსებობს ქვაშხიეთი და მთელი საქართველო. ისინი ამ მთელის ნაწილნი არიან. ნაწილი მთელს შეიცავს და მთელი ნაწილს. გაიგებ, რას ნიშნავდა ამ ადამიანებისთვის „მისვლა-მოსვლა, რაც ოდით მოგვდევს“, იგრძნობ, რატომ უყვარდა ასე ძლიერ სტუმარი მთიელს, ან რატომ იყო „მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალი“. ან რატომ იხმის საუკუნეების სიღრმიდან: „ნუ წახვალ სტუმარო, ნუ იტყვი წავალ, წავალო“. ხედავ, მარტო კი არ ხედავ — გრძნობ, ხუხბაში ბუხრებიდან „ამოხოლქვილ კვამლს“, მოხდილ ქურს, ხეჭეჭურზე მიყუდებულ ბარს, პალატიდან გამოტანილ „ტულის ცენტრალს“ ბესო ლებანიძემ რომ ახალწლის დილას თავისი ძმაკაცისა და მთელი ქვეყნის გასაგონად „ცას ნაცრისფერს ტუპად ორთავ ლულიდან ხეუქა“. ასე პატივობენ ერთმანეთს და უერთმანეთოდ არც ერთს არ უნდა ლუკმის გატეხვა. რაღაც სხვანაირი, ერუანტელამდე მართალი სიხარულის სურათია დახატული. და ხედავ იმათ ცხოვრებას, იმათ კედელყურეს, იმათ შრომა-გარჯას და მადლიან ლხინს, თეთრად გათენებულ ახალწელს. გრძნობ ღვინოში და ნაკვერჩხლების შუქზე გამთბარ სიტყვას, სადღეგრძელოს თუ შეხუმრებას. ხედავ იმათ ხელწაღმართიან ცოლებს, ცომის ზელვაში თუ ცხობაში გართულებს. და მათსავით განიცდი მღელვარე მოლოდინს, „რას შვრება, მოდის?“. მათსავით გჯერა: „მოვა ქალო, ჰპა რას იზამს“. და იმდენი სიწრფელე და სიმართლეა ყველაფერ ამაში, რომ აღარ გეხამუშება ფრაზის დაუხვეწაობა თუ ალაგ-ალაგ წაცდენილი კუთხური კილო. თოვლიან სივრცეში იხმის ორი ძმაკაცის თოფის სროლით გადაძახილი: „იქით გპატიჟობს, აქ მომსვლელი ეგ კაცი არ ჩანს“: „გაჯავრებულმა თოვლიანი გასტოპა ეზო, კლდის გადადგა და ორი ლულა დასცალა ზესომ. გამოჯავრებით, გაცხარებით, ბრაზით, ქილიკით — შვიდი მოისმა წყალგამიდან სროლა პირიქით“.

სულის ფსკერამდე უნდა გრძნობდე ამ ხალხის სატკივარსა და სიხარულს, რათა ჩაწვდე მათი ურთიერთობის პოეზიას. თურმე მარტო ახალწლის იდილიური სურათისთვის ან ორი კაცის თოფებით შეხმაურებისთვის არ დავუძახნივართ პოეტს. იმ თოფების ქუხილი სამუზობლოდ და ხამმოდ ეძახის ყველას, ვინც მიატოვა მშობლიური კერა და ფუძე. ბევრი დაწერილა და ბევრი წამიკითხავს ამის გამო. ზოგჯერ სათქმელი მეტისმეტად გაშიშვლებულია და პრიმიტიულიც, მურმან ლებანიძემ იცის ამ ტკივილის ძალა და სიღრმე. ნამდვილად იცის გონებით და გულით. სწორედ ამიტომ იოლი შეგონებისთვის ადგილი არსად რჩება.

„მთელი საღამო ზემო რაჭას თოვდა და თოვდა, ისედაც თეთრი თეთრდებოდა ბუბა და შოდა, არ შეულია ბესოს კარი ახალწლელს ვინმეს, ისმოდა ორი გადაება იმნენის პირველს. არ შეულია არც არავის კარი ვლასისა, ძილზე უკეთესს სხვას ბებერი კაცი რას იზამს?“...

ელეგიური ტონი დაჰკრავს „საახალწლო მოთხრობის“ ფინალს. ვერც დარდს გამოიგონებ და ვერც სიხარულს. მაგრამ ხომ შეგვძრა და საკუთარ სულში ჩაგვახედა. ხომ შეუძლია ჩვენს ნერვებს და შეგვაშფოთოთ? „სიმარტოვე მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი“ წერს ანტუან დე სენტ ეგზიუპერი. არც ბესოსა და ვლასის ეშინიათ მარტოობისა, არც გალაკტიონს ეშინოდა, არც ბარათაშვილს, არც ვაჟა-ფშაველას, მაგრამ მარტოობა არასოდეს ყოფილა მიზანი. ადამიანის უმაღლესი იდეალი ბედნიერებაა. მარტო კაცი კი ბედნიერი ვერ იქნება, რადგან ისევ და ისევ ეკზიუპერისა არ იყოს, „ყველაზე დიდი ფუფუნება ამ ქვეყნად ადამიანთა ურთიერთობაა“. ყველაფერ ამაზე ფიქრს აღძრავს „საახალწლო მოთხრობა“. ცოტა როდი წაგვიკითხავს ისეთი გრძელი ლექსი, სათქმელი რომ სიტყვებზე ცოტაა. აქ პირიქითაა: სათქმელი აღემატება სიტყვებს. ალბათ ამიტომ ხვდება გულს, გვაფორიაქებს და მძაფრად გვამახსოვრდება. რაღაც თოვლივით ლდება ჩვენს არსებაში, ერთმანეთს გვახსენებს და უფრო გვაყვარებს, ვიდრე აქამდე გვიყვარდა. დგას ჭაღარა კაცი თავისი ქვეყნის გულთან და „წუთისოფელს აკვირდება“, და ფიქრობს, დაძაბული ფიქრობს და ღელავს იმაზე, ადამიანთა ცხოვრებაში „დღეს არ მოკვდეს“ უსიხარულოდ. აქ დავსვამდი წერტილს, მაგრამ „საახალწლო მოთხრობა“ ლიტერატურის საზრისვნო ასპექტებსაც წვდება. იგი უნებურად პოლემიკურიც არის დღევანდელ ძიებებთან მიმართებაში. კვლავ იღვევა „წმინდა ლირიკის“ შეუვალი მიჯნები. ცოცხალი ყოფის პროზა იჭრება პოეზიის არეებში. ჩვენს დროში ამის მაგალითს ისევ და ისევ გალაკტიონ ტაბიძე იძლეოდა— „პოეტი ლირიკოსი“ არ თაკილობდა ყოველდღიურობის პროზას. მან იცოდა, რომ რეალურ საგანთა და ცოცხალ ადამიანთა გარეშე შეიძლება წარმოიქმნას მშვენიერ სიტყვათა ვაკუუმი. უფლისციხესთან გადატეხილი ხე, ავჭალის იქით კიოსკივით პატარა სახლი და ქუჩაში მტვერში წაქცეული ბავშვი ცხოვრების რეალურ სურათებს ანათებდა მის სულში. ის წერდა ლირიკულ შედევრებთან ერთად „დაბრუნებების ციკლს“ და ადამიანთა ცხოვრების ამბებს ეპიური სიფართოვით გამოხატავდა. „გალექსილ ამბებს“ თურმე არ დაუკარგავთ თავისი ძალა და პოეზია პროზასთან კამათში ყოველთვის როდი იჩაგრება „შეუთავსებლობით“. ეს თავისებური პოეტური კოლაჟები არღვევენ კანონიკურ ჯებირებს და ცხადყოფენ პოეზიის უსასრულო შესაძლებლობებს. როცა თოვლის ეკრანზე ადამიანების ცხოვრებას ხედავ, არც იმისი დანახვა გიჭირს, რაც იქცევა „თოვლის ყიჟინად“, არც ასეთი ხილვა გიძნელდება: „გარეთ ზამთარი თეთრ გორებზე დაბალახობდა, ფეთქდა ცეცხლი და სიბერეზე ლაპარაკობდა“... იქნებ დღეს საგულდაგულოდ გვეჭირდება ეგოიზმის ძლევა და ადამიანის მოხმობა ადამიანთან? იქნებ ამიტომაც არის შემძვრელი ეს ლექსი თავისი უბრალოებით და მიამიტობით? ის თამამად გადის ბანალურობასა და ჭეშმარიტი მგრძნობიარობის, აზრად ქცეული ტკივილის უჩვეულო ზღვის ხიდზე. ყველა საზომი თუ კრიტერიუმი პოეზიისა ექცევა ერთ ფორმულაში: რაც შემძვრელია, ის ჭეშმარიტია, რაც ჭეშმარიტია — მუდამ შემძვრელია. ასე გგონია გზაზე შეგვხვდებიან ისინი, ბესო და ვლასი და მახლობლებივით გადასძახებ: „გამარჯობათ, მშვენიერო კაცებო!...

...ერთი წერილის გამო

დამამახსოვრდა მძაფრად და თან დამყვებოდა. ეს იყო რაღაც რვა თუ ცხრაწუთიანი სიტყვა იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული, მერე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილი სულ ორიოდ გვერდზე. ამბობენ: კრიტიკოსებზე იშვიათად წერენო თვითონ კრიტიკოსებიც კი. ამ ხარვეზის შევსებას არ ვაპირებ. არც უბრალოდ შექებისთვის ვწერ. ეს მცირე ლიტერატურული პორტრეტიც იმ ბედნიერ შემთხვევას განეკუთვნება, როცა სათქმელი მეტია სიტყვებზე. ბევრი რამ საგულისხმოდ მეჩვენა ამ პატარა წერილში, არ შემეძლო არ დამეწერა. იქნებ ბევრს გამორჩა, დაინტერესდეს და წაიკითხოს. ესეც საქმეა. არა და მე ჩემსას ვიტყვი, ვიმედოვნებ, თანამოაზრეებიც გამიჩნდებიან. თამაზ ჭილაძის ლიტერატურულ წერილებს იშვიათად ჩაუვლია შეუმჩნევლად. არც „იაკობ ნიკოლაძე“ გამონაკლისი. და მაინც ამ პატარა წერილს თუ ეტიუდს ისეთი საგულისხმო თვისებები აღმოაჩნდა, ჩემი აზრით, მასზე საგანგებოდ შეჩერება ღირს.

მართალი გითხრათ, იმ მწერლის ბევრი არაფერი მწამს მხატვრობისა თუ მუსიკის რომ არაფერი გაეგება და მხოლოდ ლიტერატურული ცხოვრებით იფარგლება. ეს არც აუცილებელი ერუდიციის მოთხოვნაა და არც სულიერი კულტურის გარდუვალი სიფართოვის სურვილი. ზოგს იქნებ მწიგნობრულობადაც კი მიაჩნდა გალაკტიონის ლექსებში მიქელანჯელოს, გოიას, ფიროსმანის, ბოტიჩელის ხსენება, ეს კი ნამდვილი ცხოვრება იყო, ხელოვნებით მარტო აღფრთოვანება კი არა, მისი ღრმად წვდომა და მშვენიერებით მონიბებული სიხარული. მის ლექსებში ქართული მხატვრობისა თუ ფრანგული იმპრესიონიზმის თავისებურად გარდაქმნილი ფერწერული გამოცდილებები შემთხვევით არ შეინიშნება. როცა ამ ლექსებს ვკითხულობ, თითქოს ვხედავ როგორ შეჰყურებდა გალაკტიონი ქართულ ჩუქურთმას, ნიკორწმინდის გუმბათს, ვარძიის ფრესკებსა თუ მატისის, ვან-გოგის, გოგენის სურათებს. როგორ გრძნობდა ვრუბელს და სეზანს, როდენს და მაიოლს. მერე აქედან იბადებოდა საოცარი ხილვები: „და აი, ფერთა შეზავებაში, როცა შურივით იძვრის ოცნება, ასე გადადის უკვდავებაში სივრცე, დუმილი და გაოცება“. ყველაფერი ეს მან თვითონვე მისივე პოეზიის გასაღებად აღიარა და ფერწერულ ხილვებს თავისებური ფორმულის სახე მისცა: „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“. ამას ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ თამაზ ჭილაძის წერილის თემა შემთხვევითი არ არის და ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს ორგანულად უკავშირდება. ეს არის არა ზოგადად ცოდნა მხატვრობისა თუ ქანდაკების, არამედ „ემოციური ცოდნა“, გრძნობადი კავშირი ხელოვნების იდუმალებასთან. ესაა წვდომით მონიჭებული ბედნიერება და ქვაში ამეტყველებული სილამაზის ღრმა განცდა.

ჩემი თაობის ადამიანებს ახსოვთ თბილისის ქუჩებში საღამოჟამს დინჯად მოსიარულე, ოდნავ წელში მოხრილი, კაფანდარა კაცი. იგი ერთი შეხედვით ძველ აფთიაქარს თუ ბუკინისტს ჰგავდა თავისი ოთხკუთხად შეკრილი წვერითა და მუდამ დინჯად რაღაც საგანსა თუ წიგნს მიჩერებული გამოხედვით. ბევრმა იქნებ არც იცოდა, რომ ეს პატარა ტანის კაცი ქვას მთელი ცხოვრება შეჭიდებული მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე იყო. ბიბლიურ სახელთან ერთად მის ბუნებაში ენთო იდუმალი ძალა, ქვას რომ ყველაფერს ათლიდა, გარდა თვითონ ქანდაკებისა. მერე ჩვენმა სიჭაბუკემ მისი ეგნატე ნინოშვილის, მთაწმინდას მიჩერებული აკაკისა და ილიას საფლავზე მწუხარი ქართვლის დედის ჭვრეტაში გაიარა. ის თითქოს შეუმჩნევლად წავიდა და დროის წვიმებით გადარეცხილმა მისმა ქანდაკებებმა გამოაჩინა ქვასთან შერკინებაში გამარჯვებული გოლიათი. სიცოცხლეშივე აღიარებული მისი სახელი დრომ უფრო გაზარდა და დღემდე მძლავრად მოაბიჯებს თავის საყვარელ ქვეყანასთან ერთად. გალაკტიონის პოეზიასა და ლადო გუდიაშვილის ტილოებთან ერთად ის თავისი საოცარი ქანდაკებებით აყალიბებდა და ხვეწდა ჩვენს შინაგან კულტურას, სულიერ თვისებებს. იმ სიღრმეებიდან მოდის თამაზ ჭილაძის წერილის განწყობილება და შინაგანი აღფრთოვანება. სალამოზე სათქმელი სიტყვის ოდნავ პათეტიკური სტილი მაღალფარდოვანებისაგან შორსაა და ღრმესი სიყვარულისა თუ წვდომის შუქით არის განათებული. ამ სიყვარულისა და მაღალი პატივისცემის გარეშე რამეზე შთაგონებულად წერა შეუძლებელია. რასაც ძლიერად არ შეუძრავს მწერლის ბუნება, იმაზე არც უნდა წერდეს.

სტილს არ ქმნიან, სტილი თვითონ ადამიანია, ნათქვამია. მე მაინც მგონია, რომ თამაზ ჭილაძის ესეისტურ სტილს ნათესაური კავშირი აქვს ჩვენი აღიარებული მწერლებისა თუ ლიტერატურათმცოდნეების მეტნაკლებად საერთო სტილურ თავისებურებებთან. ის პრინციპულად მიიჩნევს ესეს თუ კრიტიკული წერილის სტრუქტურაში „სახეებით აზროვნებას“. როგორც პროზასა და პოეზიაში, აქაც სახოვანი ფრაზა ბევრის დამტევია და წარმოსახვისთვის მრავლისმთქმელი. თურმე ლიტერატურულ წერილებსაც აქვთ თავიანთი ინტონაცია თუ შინაგანი მელოდია, მეტაფორული პლასტიურობა და საგნობრივი სიცხადე. აქაც უნდა წარმოისახო „ჭეშმარიტი პოეზიის სამყარო, შექმნილი მშრომელი, საქმეს შეწირული კაცის მიერ, საჭრეთელით ხელში წყვდიადში დანთქმული მაღაროელივით, ქვის კედლის პირისპირ რომ იდგა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, მარტომარტო, სიკერპის, იმედისა და რწმენის ამარა“. ეს პირველი აკორდი, პირველი ფრაზა პორტრეტის უტყუარი ნიშნებისა თუ შტრიხების შემცველია, უცებ ანათებს მოქანდაკის კონტურებს. არც „საჭრეთელით ხელში წყვდიადში დანთქმული მაღაროელი“, არც „ქვის კედლის პირისპირ მთელი სიცოცხლე დგომა“ და კიდევ უფრო „სიკერპის, იმედისა თუ რწმენის ანაბარა“, ცხოვრება შემთხვევითი ფრაზები არ არის. ეს ბევრის დამტევი, მოცულობითი ხავხობაა, სიზუსტეა სიმართლესთან დაწყვილებული, იმ სიმართლესთან ხელოვანის ცხოვრების დრამას დღისაწაულის სინათლეშიც რომ არ მალავს და მისი მშვენიერი ცხოვრების ტკივილებსაც ამაყად აჩენს. „ტალანტის თავისებურებისა და იმ მისიის გამო, რომლის შესრულება მას სამშობლოში მოუხდა, იაკობ ნიკოლაძემ პირველაღმომჩენების, პირველდამწყებების ჩვეულებრივი ხვედრი გაიზიარა: ბევრი გაუგებრობის, გაფთრების, დაუნდობლობისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დაცინვის სიმწარეც იწვნია“. დააკვირდით ამ სიტყვებს: „გაუგებრობის, გაფთრების, დაუნდობლობის და დაცინვის სიმწარე“! ამ სიტყვების მიღმა ხელოვანის დრამა აღიმართება. იმავე დროს ასე შეუფარავი და პირდაპირი დიალოგი მკითხველთან თუ მსმენელთან არის უშუალო კონტაქტის თუ ემოციური კავშირის აუცილებელი პირობა. განწყობილება შექმნილია და მძაფრი ინტერესი აღძრული. ამის მერე მოულოდნელი და ამოვარდნილი აღარ არის. ქართულ ქანდაკებასთან შეხვედრად „იდუმალი გასაღების მაძიებელი“ ოდესასა, მოსკოვსა, ფლორენციასა თუ პარიზში „ევროპული ხელოვნების საფუძვლიანად შემსწავლელ“ მხატვარზე ასეთი ტირადა წარმოსთქვა: „ო, რა შორი, რა ეკლიანი გზები უნდა გაიაროს ხელოვანმა, თავის მშობელ ხალხს რომ დაუბრუნდეს. უკვე ცხადად ვხედავთ როდენის სახელოსნოდან თავისი ქვეყნის მხილველ კაცს, რომელიც „თავისთვის კი არ სწავლობდა, არამედ სამშობლოსათვის“. მოხაზულია ხელოვანის დრამატიული ცხოვრების უმთავრესი კონტურები. და ისევ სიტყვების მიღმა მთელი ცხოვრება დგას. ამის შემდეგ, ბუნებრივია, იწყება ხელოვანის იდუმალებაში გარკვევა, მის სიღრმეებში ანთებული სანთლით შეღწევა. ჩვენ გველაპარაკება მარტო მცოდნე და გამგები კი არა, განმცდელი პიროვნება. განცდით წვდომა უძლიერესი წვდომაა. აქ ერთიანდება პირველი შთაბეჭდილება და ხანგრძლივი დაკვირვება მუდამ ახალ თვისებათა აღმოჩენებით. ასე აკვირდებიან იმას, რაც ძლიერად უყვართ. ასე კითხულობენ რამდენიმეჯერ საყვარელ წიგნს. უნდა იგრძნო კლდეში ნაკვეთი ვარძიაც, გელათის ფრესკაც, „მერცხლებივით შეფარებული პაწაწინა ქანდაკებები ნიკორწმინდის ფასადზე“. მშვენიერების ხილვაში გაწაფო თვალი, რათა გაიგონო მერე იაკობ ნიკოლაძის ქანდაკებათა სუნთქვა, მოგესმას მისი სიჩუმის იდუმალი ხმები და მიწვდე მის მღელვარე სიმშვიდეს. ბუნებრივად უღერს ამ განწყობილებაში თუ კონტექსტში მიქელანჯელოს გახსენებაც და როდენიდან მშობლიურ ხელოვნებამდე განვლილი გზის წარმოსახვაც. და ჩვენთვის კიდევ უფრო მახლობელი ხდება ის, რაც თითქოს მანამდეც ვიცოდით. იზრდება ჩვენი სიამაყე და ცრემლებამდე განცდილი სილამაზის დანიშნულება. უკვე ბუნებრივია ყველაზე მაღალი ნოტი თუ პათეტიკური დასკვნა: „იაკობ ნიკოლაძის ყველა ქანდაკება საკუთარი ღირსების ჯავშნით არის დაცული. მაღალი ხელოვნება უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. გამოყოფს სხვა საგნებიდან, ანცალკევებს, ამაღლებს, როგორც ტაძარს, მოსავს იდუმალი იერით და ამრიგად, მიუკარებელს ხდის უვიცობის, ბოროტების, სიბნელის ხელყოფისაგან“. პორტრეტი დასრულებულია და მომდევნო ფრაზა საბოლოოდ განაზოგადებს მასში ჩადებულ აზრს. ეს მოქალაქისა და პატრიოტის სიამაყით ამონათქვამი სიმართლეა მშობლიური მხატვრის საკაცობრიო დანიშნულებაზე, რაც გაზვიადებად და ქედმაღლობად სრულიადაც არ აღიქმება: „იაკობ ნიკოლაძის ყველა ძეგლი თითქოს პატარა ბასტიონია, კულტურისა და კაცობრიობის ნათელი იდეალების დაცვა რომ უკისრია“. ამის შემდეგ კიდევ უფრო კონკრეტული შტრიხები ჩნდება და ცოცხალი სურათი მხატვრისა თითქოს უფრო და უფრო გვიახლოვდება: „ნიკოლაძის ქანდაკება მშვიდია. ეს არის სიმშვიდე, რომელიც იბადება ტკივილის გაყუჩების კი არა, ტკივილთან შეჩვევის, უფრო სწორედ ტკივილზე გამარჯვების შემდეგ“.

ეს ფრაზები ცალცალკე კი არ არსებობენ თავმომწონედ, ერთმანეთს შერწყმიან ქვასავით განუყოფელნი და აყალიბებენ ხელოვანის განუმეორებელ სახეს. ამას თან სდევს არა დილეტანტური, არამედ პროფესიონალური, დახვეწილი წვდომა შემოქმედებისა თუ შემოქმედისა. ასე ხედავს პოეტი პოეტს საერთო ბედითა და სულიერი თვისებებით. თუნდაც ერთი ასეთი. შტრიხი გავიხსენოთ იაკობ ნიკოლაძის მართლაც საკვირველ ქანდაკებაზე ეგნატე ნინოშვილზე: „ახლაც ცხადად ვხედავ მწერლის გულზე დაკრეფილ ხელებს, რომლებიც მართლაც საოცარია თავისი პლასტიკური სიცხადით და, თუ გნებავთ, ლიტერატურული ქვეტექსტითაც: სწორედ ამ გულზე დაკრეფილი ხელების გამო მწერალი თავისი არსებობის ლობესთან შეჩერებულ კაცსა ჰგავს, რომელიც ლობის იქით გადაშლილ სულ სხვა ქვეყანას გასცქერის“. ძნელია ამაზე ზუსტი ახსნა მოუნახო ხელოვნების უზადო ქმნილებებს, ასე ზუსტად და სახიერად შეგეძლოს „ქვის წაკითხვა“. ამგვარი უნარი შემუშავებულია არა ერთი და ორი ნიმუშის ჭვრეტით, ხანგრძლივ ფიქრებში შემონახულ შთაბეჭდილებებშია დაკრისტალებული და მერე თითქოს უბრალოდ, ძალდაუტანებლად ნათქვამი. ამგვარ შინაგან სიახლოვეს თან ახლავს ხელოვნების ყოველ საფეხურთან თანადგომის კანონიერი სიამაყეც და ამ ნაცადი კავშირების დღისდღეობით მოხუსტების გამო წუხილიც. დიახ, დიახან და ხშირად უნდა უყურო მწყურვალი თვალით ხელოვნების ქმნილებებს, რომ ქვის ენა გაიგო და მისი იდუმალი სიჩუმის მუსიკა მოგესმას: „სიმშვიდესთან ერთად ნიკოლაძის ქანდაკება ჩუმია, მაგრამ ეს საოცარი, მეტყველი დუმილია. ალბათ არავის ისე ამქვეყნად არ შეუძლია განიცადოს სიჩუმის მუსიკა, როგორც მოქანდაკეს“. ბოლოს შინაგანად შენ თავს უფლებაც უნდა მოუპოვო იმისა, რომ ასე თამამად და კატეგორიულად წარმოსთქვა ორიგინალური და ფიგურალური ფრაზა „ქანდაკება ეს არის სიჩუმის ხმა“, ან მძაფრად განიცადო და სხვასაც განაცდევინო „ამ ხმების გაუვალი ტროპიკული ტყე, რომელიც ამოხეთქილია თუნდაც მიქელანჯელოს სამყაროდან, დაუნდობლადაა დაფერფლილი ინტელექტის კოცონზე“. ეს „ინტელექტის კოცონიც“ იმისათვის დაენთო, კიდევ ერთხელ აღიაროს შიშველ შთაგონებასთან ერთად ქვას შებმული ადამიანის მაღალი გონიერების ძალა. სხვაგვარად არ შექმნილა არაფერი მონუმენტური და დიადი ხელოვნებაში. აქედან იწყება პოეზიის სივრცეებში გაღწევა და რწმენა იმისა, რომ „მონუმენტურობა პოეზიის გარეშე პროვინციალიზმის სამწუხარო ფაქტია და სხვა არაფერი“. ნიკოლაძის ქანდაკების ამგვარი ახსნა ესთეტის სუბიექტურ საზომებში ვერ ეტევა, და უმაღლესი განზომილებისკენ მიისწრაფვის. ამ მომენტში შემთხვევით არ არის გახსენებული მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი შემოქმედის დავით კაკაბაძის გამონათქვამი მხატვრებზე: თუ საჭიროა რაიმე სახელის მიკუთვნება მათთვის — უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ „ერთი სახელი — ადამიანისა“. ადამიანის სახელი და ადამიანობა ამ კონტექსტში ბიბლიური მასშტაბით წარმოისახება.

სხვაგვარად ვერ შეიქმნებოდა ვერც ეგნატე ნინოშვილი, ვერც აკაკი და ვერც ჩახრუხაძე, თუ მის შემქმნელს ლიტერატურაც ღრმად არ ეყვარებოდა, რადგან დამღუპველია პროფესიულ ქერქში გამოკეტვა და განკერძოვება. თამაზ ჭილაძეს არც ეს მომენტი აქვს დავიწყებული იაკობ ნიკოლაძის ცხოვრებაში. აქედან წარმოდგება დამამთავრებელი შტრიხი პორტრეტისა: ნიკოლაძის „ქართველი მწერლების პორტრეტები ეს არის ქართველი ხალხის იმედისა და რწმენის ქანდაკებები“. უბრალოდ კუთვნილის მიზღვა კი არა, თაყვანისცემა ამაღლებს ამ წერილის სათქმელს და ერთხელ კიდევ მოკრძალებით მიგვაბრუნებს ხელოვანისაკენ, მკვიდრად რომ დგას დღემდე თავისი ხალხის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, თანადგომა და მხარდაჭერა ხელოვანს სიცოცხლეში უფრო სჭირდება, მაგრამ გვიან ნათქვამიც მარტო წარსულს კი არა, მომავალსაც გულისხმობს. ხელოვანის მარადიული ცხოვრების თარიღები კი ალბათ მხოლოდ საბაბი უნდა იყოს, რათა კიდევ უფრო მივუახლოვდეთ მშვენიერებას, სიჩუმეში ქვიდან მოგვესმას ნატიფი სუნთქვა და ვიხილოთ „ჭეშმარიტი პოეზიის სამყარო“...

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების 80 წლისთავი

წარუშლელი ღვაწლი

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია დაიბადა 1900 წლის 18 ივლისს, ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში. მისი მამა ნიკო ჯანაშია იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და ეთნოგრაფი.

ნიკო ჯანაშიასა და მისი მეუღლის — ელენე მუჯირის ოჯახში მიიღო მან საფუძვლიანი პირველდაწყებითი განათლება, შეითვისა მშობლიური ქვეყნის, მისი წარსულისა და აწმყოს, ქართული კულტურის სიყვარული.

ახალგაზრდობის წლები ს. ჯანაშიამ ძირითადად გაატარა აფხაზეთში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მამამისი.

1918 წელს ს. ჯანაშიამ დაამთავრა სოხუმის რეალური სასწავლებელი. აქ იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიბეჯითით, გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოს წარსულს, ქართულ, რუსულ და უცხოურ მწერლობას, ეცნობოდა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ლიტერატურას.

ს. ჯანაშია იყო თბილისის უნივერსიტეტის პირველი მიღების სტუდენტი. იგი უნივერსიტეტში შევიდა, როგორც ფართო განათლებისა და ინტერესების მქონე, თეორიულად მომზადებული, სავსებით მოწიფული ახალგაზრდა. მას ამ დროისათვის უკვე შეთვისებული ჰქონდა მარქსიზმის თეორიული საფუძვლები, იცნობდა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, ქართველ მარქსისტთა ნაშრომებს.

რაც შეეხება ს. ჯანაშიას სამეცნიერო ინტერესებს, მათი მრავალმხრივობა იქიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტში შესვლისთანავე მის წინაშე დადგა საკითხი: რომელი განხრა აერჩია — ისტორიული თუ ენათმეცნიერო. ს. ჯანაშიამ ერთდროულად ორივე განხრით დაამთავრა უნივერსიტეტი.

ქართულ უნივერსიტეტში ს. ჯანაშიამ გამოჩენილ მეცნიერთა — ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანისა და სხვათა ხელმძღვანელობით მიიღო საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური და ენათმეცნიერო მომზადება, გამოიჩინა მეცნიერული კვლევის დიდი უნარი. ივ. ჯავახიშვილის წარდგინებით იგი დატოვეს კიდეც უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. მან წარჩინებით ჩააბარა სადოქტორო გამოცდები და 1926 წ. მოიწვიეს უნივერსიტეტში აფხაზური ენისა და საისტორიო წყაროთმცოდნეობის კურსების წასაკითხად. ამგვარად, ს. ჯანაშია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის, რომელთაც წილად ხვდათ აქვე პედაგოგიური მოღვაწეობა.

1930 წელს ს. ჯანაშია აირჩიეს დოცენტად, 1935 წლიდან კი პროფესორად. ამავე წლიდან იგი საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნა.

1938 წელს ს. ჯანაშიამ უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ს. ჯანაშიას ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ საზრუნავს წარმოადგენდა ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა და ისტორიკოსთა კადრების მომზადება. მან შეარჩია და სამეცნიერო ასპარეზზე გამოიყვანა არა ერთი მუშაკი, როგორც საქართველოს ისტორიაში, ასევე მომიჯნავე დარგებში.

ს. ჯანაშიას აქტიური მონაწილეობით ხორციელდებოდა საქართველოში ყველა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიება. მან, როგორც ადრე არსებული კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე 1936 წ. შექმნილი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორმა, ეს დაწესებულება ქართველოლოგიის მძლავრ კერად აქცია. 1939 წ. ს. ჯანაშია დაინიშნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ. მან უაღრესად ქმედითი მონაწილეობა მიიღო საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების საქმეში, რაც 1941 წელს განხორციელდა. ს. ჯანაშია იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. საერთო ორგანიზაციულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგს. 1948 წ. ს. ჯანაშია აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ს. ჯანაშია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. 1946 წ. იგი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მეცნიერებისა და ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის ს. ჯანაშია ორგზის იყო დაჯილდოებული ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით; ორგზის მიენიჭა სახელმწიფო პრემია (1943, 1947 წ.წ.).

ს. ჯანაშია, როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში ეხმაურებოდა იმ ტენდენციებს, რომლებიც ქართველი ხალხისა და მისი მეცნიერების პროგრესის საქმეს ემსახურებოდა. ამიტომაც, იმისათვის, რომ სათანადოდ შევაფასოთ ს. ჯანაშიას მეცნიერული შემოქმედება, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ამოცანები, რომლებიც მისი მოღვაწეობის ხანაში მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ისტორიული მეცნიერების წინაშე.

პირველი ამ ამოცანათაგანი მდგომარეობდა საქართველოს ისტორიის მარქსისტულ გააზრებაში. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „თუ რამდენად დიდი იყო საამისო მოთხოვნილება, იქიდანაც ჩანდა, რომ ამ ხანებში (საუბარია ოცი-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე) არაერთმა ავტორმა სცადა საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გაშუქება. სამწუხაროდ, ასეთი ცდები თითქმის ყველა მარცხით დასრულდა. ზოგი ავტორი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ იყო, ზოგს კიდევ კვლევის მარქსისტული მეთოდის სწორი გამოყენება არ ეხერხებოდა. ცხადი იყო, ამ დიდი საქმის ღირსეულად წარმართვა ის შესძლებდა, ვინც თანაბრად კარგად დაეუფლებოდა, როგორც ტექნიკურ ხერხებს, ისე სამეცნიერო კვლევის მარქსისტულ მეთოდს. საქართველოს ისტორიის უბანზე მომუშავეთა შორის ს. ჯანაშია ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თანაბრად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ ორივე პირობას“.

საქართველოს ისტორიის მარქსისტული გააზრება ს. ჯანაშიამ უძველესი და ძველი ისტორიის პრობლემატიკით დაიწყო. მან უკვე 1932-1933 წლებში გამოქვეყნებულ „საქართველოს ისტორიის განაკვეთებში“ ზოგად ხაზებში აღადგინა საქართველოში პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების სურათი. წერილობითი წყაროების, პირველ ყოვლისა ცნობილი ბერძენი ავტორის სტრაბონის ცნობების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე გვიჩვენა, რომ ძვ. წ. უკანასკნელ საუკუნეებში საქართველოში (კერძოდ, ქართლში) უკვე საქმე გვაქვს კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან. ამ საზოგადოებას იგი განიხილავდა „გარდამავალი ტიპის საზოგადოებად“, რომელშიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური (თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური) წყობილების ელემენტები. მანვე გონებამახვილურად დაგვიხატა სტრაბონის მიერ აღწერილი ქართლის (იბერიის) საზოგადოების შემდგომი განვითარების, აქ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება-განვითარებისა და გამარჯვების პროცესი.

მეორე ღირსშესანიშნავი ტენდენცია, რომელიც იმ ეპოქამ წარმოშვა, რომელშიც ს. ჯანაშია მოღვაწეობდა და რომელიც პატრიოტი ისტორიკოსის გამოძახილს ელოდა, მდგომარეობა 30-იან წლებში, ჩვენში მომხდარ შემობრუნებაში ეროვნულობის, პატრიოტიზმის იდეალებისადმი. ს. ჯანაშია ამ მოვლენასაც გამოეხმაურა და ასახა თავის შემოქმედებაში. რამდენი რამ შეიძლება მოვიტანოთ ამის საილუსტრაციოდ: თუნდაც ღრმა პატრიოტული განწყობილებით გამართული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო, რომელიც ასე პოპულარული და საყვარელი წიგნი გახდა ჩვენი ახალგაზრდობისა და, საერთოდ, ქართველი საზოგადოებისათვის. ესაა მგზნებარე პუბლიცისტური გამოსვლები. შუასაუკუნეების ქართული კულტურის ძეგლთა ეროვნული კუთვნილების დასასაბუთებლად, საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე ქართველი ხალხის უფლების დასამტკიცებლად და ა. შ. ამავე ტენდენციის ერთ-ერთი გამოხატულება იყო, აგრეთვე მის მიერ ადრე აღიარებული კონცეფციის გადასინჯვა ძვ. წ. VII ს-ში ქართველთა ერთიანად გადმოსახლების შესახებ ახლანდელ საქართველოში სამხრეთიდან, მცირე აზიიდან და უძველესი დროიდანვე კავკასიის მიწა-წყალზე ქართველთა ავტოქტონობის თეზისის წამოყენება.

ზემოაღნიშნული პრობლემების კვლევასთან ერთად და მათთან კავშირში ს. ჯანაშიამ ბერძნულ-რომაული, სომხური და საკუთრივ ქართული წყაროების საფუძვლიანი შესწავლისა და ფართოდ გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად წინ წასწია საქართველოს ძველი (ანტიკური) და ადრეფეოდალური ხანის პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის კვლევა-ძიება. მან მოგვცა თანმიმდევრული სურათი ამ დროის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური თავგადასავლისა, აქ სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან კავშირში.

აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის სამეფოს) პოლიტიკური ისტორიის ფაქტების გადმოცემისას ს. ჯანაშია ემყარება ძველი ქართული ისტორიული ტრადიციის მონაცემებს, რომელნიც უძველეს ეროვნულ წერილობით ძეგლებში — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ნინოს ცხოვრებაშია“ დაცული და გვაწვდიან ცნობებს ფარნავაზისა და ფარნავაზიანთა მეფობის შესახებ „მცხეთის სამეფოში“ (ქართლში), ამ უკანასკნელის მეზობელ ქვეყნებთან, კერძოდ, სომხეთთან ურთიერთობაზე და სხვა.

ს. ჯანაშია ძირითადად ჰეროდოტეზე დაყრდნობით არკვევს კოლხეთის პოლიტიკურ თავგადასავალს I ათასწლეულის შუა ხანებში — მის დამოკიდებულებას აქემენიდების სახელმწიფოზე. შემდეგდროინდელი პოლიტიკური მოვლენებიდან გაშუქებულია ურთიერთობა პონტოს სამეფოსთან.

ს. ჯანაშია საგანგებოდ ეხება კოლხეთის შინაგან ეთნიკურ-პოლიტიკურ სტრუქტურასაც. „კოლხი“, ავტორის აზრით, ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა, თვით კოლხეთი კი მრავალტომიანი (თუ მრავალთემიანი) სამყარო იყო. მისი მთლიანობა დამყარებული იყო არა ტომთა კავშირზე, არამედ წამყვანი და სოციალურად თავისთავად რთული ეთნიკური ელემენტის პოლიტიკურ პრიორიტეტზე. ეს წამყვანი ეთნიკური ელემენტია, რომ საერთო სახელს აძლევს მთელ ტერიტორიას. ასეთი სახელებია: „კოლხეთი“, შემდეგში კი „ეგრისი“ და „ლაზიკა“.

კოლხეთის ძველი ისტორიის კვლევისას ს. ჯანაშია ყურადღებას ამახვილებს აქ არსებულ ბერძნულ კოლონიებზე, რომელნიც ბერძნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიქმნენ. მათი გაჩენა მაჩვენებელია ამ მოსახლეობის შედარებით მაღალი ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონისა, რაც ქმნიდა პირობებს ადგილობრივი ქალაქების გაჩენისათვისაც, განსაზღვრავდა ფულის ტრიალს და ადგილობრივი მონეტის მოჭრის საჭიროებას. ეს მონეტა — „კოლხური თეთრი“, ავტორის დაკვირვებით, შინაგან საცალებმიცემო ურთიერთობას ემსახურებოდა. ამავე დროს ფულის მოჭრა განხილულია, როგორც სახელმწიფოს პრეროგატივა.

ვრცლად და დეტალურად აქვს შესწავლილი ს. ჯანაშიას საქართველოს რომთან ურთიერთობის საკითხები, მისგან იბერიისა თუ კოლხეთის დამოკიდებულების ფორმები.

ამ ხანისა და უფრო ადრეული პერიოდის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა ასპექტში ყურადღება გამახვილებულია გარეშე ძალთა ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებზე საქართველოში, ადგილობრივი რესურსებისა და ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობის მნიშვნელობაზე. აღნიშნულია, რომ საგარეო ურთიერთობანი და დამოკიდებულებანი აჩქარებენ შინაგან სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ძირითადად ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით ს. ჯანაშია დეტალურად არკვევს ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის ეთნიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს, მათ ცვლას პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ს. ჯანაშია ადრეფეოდალურიდან განვითარებულ ფეოდალიზმში გარდამავალი ხანის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის საკითხს. საგანგებოდ აქვს მას შესწავლილი არაბთა ბატონობის ხანა, ამდროინდელი საშინაო ვითარება და საგარეო ურთიერთობანი, „აფხაზთა სამეფოს“, ე. ი. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის ისტორია; სპეციალურ ნაშრომს უძღვნის მკვლევარი პატრონყმობის ბუნებას, ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებას (ბრძოლას მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში) და სხვა. იგი სწავლობს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მოვლენებსაც.

ს. ჯანაშიას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც გვიანი შუასაუკუნეების ხანის საქართველოს სოციალური თუ კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მაგალითად, ამ ხანის ისტორიოგრაფიის თუ სწავლა-აღზრდის საკითხები („ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ“, „შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში“); იგი იკვლევს ზოგიერთი ქართული გვარის ისტორიასაც („ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“, „ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის“). ეს სამუშაო შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერლების ნ. ბარათაშვილისა და ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. XIX საუკუნის ისტორიულ-კულტურულ მოვლენათა წრე გაშუქებულია ს. ჯანაშიას ნაშრომში: „გ. შარვაშიძე, ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან“.

აღსანიშნავია, რომ ს. ჯანაშია საქართველოს ისტორიის საკითხების, განსაკუთრებით კი ძველი ისტორიის მოვლენების კვლევისას ყოველთვის მარჯვედ იყენებდა ენობრივ მასალას. თითქმის ყველა მის ისტორიულ ნაშრომში ჩანს მისი, როგორც სპეციალისტი ენათმეცნიერის ნაკვლევი, რაც აძლევს მას ისტორიულ მოვლენებში ღრმად ჩაწვდომის საშუალებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ისტორიული მასალის ნაკლებობა იგრძნობა. ს. ჯანაშიას დიდი ინტერესი ქართული ისტორიულ-ენობრივი ფაქტებისადმი, განსაკუთრებით კი ჩრდილო-კავკასიური ენობრივი სამყაროსადმი და ამავე დროს საქართველოს ისტორიული წარსულის გააზრება კავკასიის სამხრეთი რაიონებისა და წინა აზიის ქვეყნების უძველეს ისტორიასთან მიმართებაში, მოწმობს მის მისწრაფებას — კვლევა წარმართოს მთელი კავკასიის მასშტაბით და ამ რეგიონის ხალხთა ისტორიულ-კულტურული პროცესები ურთიერთკავშირში გაიაზროს.

ს. ჯანაშიას საენათმეცნიერო შრომებიდან ზოგიერთი გამოკვლევა საგანგებოდ შეეხება ლინგვისტურ საკითხებს, ქართველურისა და ჩრდილოკავკასიური, კერძოდ ადიღური (ჩერქეზული) ენების ნათესაობას. ასევე გაშუქებულია ქართველი და კავკასიელი ხალხების ისტორიული ურთიერთობა, ამ უკანასკნელთა თავდაპირველი განსახლების საკითხები და სხვა.

ძნელად მოიძებნება საქართველოს ძველი ისტორიის რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან ფაქტი, რომელიც მეცნიერს არ შეენიშნა და მათზე ყურადღება არ გაემახვილებინა. მართალია, ბევრი დაკვირვება ან დებულება მეტად ლაკონურია, ზოგჯერ მხოლოდ თეზისების სახით აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ეს დაკვირვებანი იმდენად ღრმად არის გააზრებული, რომ ავტორის ფუნდამენტურ ნაკვლევთან ერთად დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და ხშირად წარმოადგენენ ამოსავალს ამა თუ იმ საკითხის მეცნიერულ შესწავლაში.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ იმ დიდ სამუშაოს, რომელიც ჩაატარა ს. ჯანაშიამ საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გასაშლელად. ბრწყინვალე შედეგები გამოიღო საქართველოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის ტერიტორიაზე მისი თაოსნობით დაგეგმილმა გათხრებმა, რომელთაც 1937-1940 წლებში ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1940 წლიდან ს. ჯანაშია ჩაუდგა სათავეში. ამ გათხრებმა დაადასტურა ბევრი იმ დებულებათაგანი, რომელიც ს. ჯანაშიას გამოთქმული ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის უძველესი თავგადასავლის შესახებ. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი, გააზრებული და განზოგადებული ს. ჯანაშიას მიერ, აისახა მის უკანასკნელ შრომებში, მათ შორის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის დაწერილ ნაკვეთში.

ს. ჯანაშია არა მარტო უშუალოდ ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ სამუშაოებს, არამედ, როგორც საერთო ხელმძღვანელი და ხშირად არქეოლოგიური პუბლიკაციების რედაქტორი, მიმართულებას აძლევდა კიდეც იმ დროს საქართველოს უძველესი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქება-გადაჭრას.

ძალზე ძნელია უბრალო ჩამოთვლაც კი ყველა იმ მიღწევისა ჩვენი საისტორიო მეცნიერების განვითარებაში, რაც უკავშირდება ს. ჯანაშიას სახელს. აკად. ს. ჯანაშიამ ღრმა კვალი დააჩნია ჩვენი მეცნიერების განვითარებას. მისი ღვაწლი წარუშლელია ქართული მეცნიერების ისტორიაში.

აკადემიკოსი
გიორგი მელიქიშვილი
პროფესორი
ედიშერ ხოშტარია

გიორგი ლომთათიძე

ჩემი მასწავლებელი

...1948 წლიდან მოყიდებული 1948 წლამდე (მცირე ხარვეზით) ბატონ სიმონის დავალებით ჩემი გამომზრდელი ინსტიტუტის სწავლულ მდივნად ვიმუშავე. ამ გარემოებამ, ჩემდა საბედნიეროდ, განსაკუთრებით დამაახლოვა მასთან და უამრავი რამ დამიტოვა მეხსიერებაში მისი, როგორც ინსტიტუტის შემქმნელ-სრულმყოფელისა და წინამძღოლის შესახებ...

ინსტიტუტის წინარეისტორიასაც რომ გავეცანი საჭიროებისამებრ, ჩემთვის სრულიად უეჭველი შეიქნა, რომ ის შესანიშნავი დაწესებულება თითქმის „ცვქვაზე დაესახლებინა" (მოხდენილი თქმა რომ მოვიშველიოთ) სიმონს, მის მიზანსწრაფულ თაოსნობას, საზოგადოებრივ ტაქტსა და ავტორიტეტს, პრინციპულობა-შემართებას და მუშაკთა შეუცდომელი შერჩევის უნარს.

ამასთანავე, მას გულით უყვარდა ახალგაზრდობა, დიდი იმედი ჰქონდა მისი, სწამდა და უხაროდა მისი სიკეთე. ყოველმხრივ ეხმარებოდა გზის გაკაფვაში, გაბედულად აბარებდა პასუხსაგებ პოსტებს, ხოლო — ათასში ერთხელ — ვისმე უღირსობას თუ შეატყობდა, სუსხიანად მოეკიდებოდა და სწორი გზისაკენ მიუთითებდა, ან სულაც ამოაკვეთინებდა ფეხს ინსტიტუტში.

თვით სიმონიცა და მის ირგვლივ შემოკრებილი თანამოაზრე-თანამოსაქმენიც — მასზე უფროსნიც, ტოლნიცა და უმცროსნიც — ახალი ქართველთმცოდნეობის ღირსეული დაწინაურებისათვის მებრძოლნი იყვნენ და ინსტიტუტის სწავლული კონსულტანტის, თითქმის ყოველი მათგანის გამომზრდელის ივანე ჯავახიშვილის საზოგადო რჩევა-მეთვალყურეობით მუშაობდნენ. მუშაობდნენ გატაცებით, ხელახლა აფეთქებული ძალ-ღონით, თავდაუზოგავად, ხალისიანად. მეცნიერული შემოქმედება დუღდა და გადმოდუღდა, ნაბეჭდი პროდუქცია უცბად მოზღვავდა და ძალიან მაღალ დონეზე გაიმართა. ატმოსფერო ხომ ნანატრი იყო ინსტიტუტში: წმინდა, საქმიანი, მეგობრული.

სიმონი ძმასავით და მამასავით ეპყრობოდა კოლექტივის ყველა წევრს, მხცოვან პროფესორთაგან ვიდრე სამდივანმწიგნობრომდე (ასე უწოდებდა იგი კანცელარიას ოფიციალურ ანგარიშში!) და მემანქანეთა ბიურომდე. ვისაც კი რამე გაუჭირდებოდა ან ტანმრთელობა უღალატებდა, სიმონის დაუოკებელი ზრუნვის საგნად იქცეოდა:

— ეგ კაცი სულ კარგად უნდა გვყავდეს: მაგას რომ რამე დაემართოს, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეგვენაცვლებით, ისეთი ნიჭის მქონე, იმოდენა რამის მცოდნე და გამკეთებელია!

— როგორმე უნდა შევუწყოთ ხელი და ფიზიკურად შემოვინახოთ ამ ომიანობა-გაჭირვებაში ჩვენი ჯერ უცენზო მუშაკები!

— ნეტამც ეს მოხუცი ერთი ათიოდე წელს გვიცოცხლა და ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! (მოხუცი, საბედნიეროდ, დღესაც დგას და ნაყოფიერად მუშაობს!).

— ადგილკომმა როგორმე ფრთხილად გამოიძიოს, ამა და ამ ასპირანტს შინ მძიმე ვითარება ხომ არა აქვს? რაღაც შეუფერხდა მუშაობა ამ ბოლო დროს და თვითონ კი არაფერს გვეუბნება. თუ გაირკვა, რომ რამე უჭირს, უნდა დავეხმაროთ!

— იცით, რა? მოდით, აი ეს წამალი სცადეთ: მე საკმაოდ მშველის და ეგებ თქვენც გარგოთ?

და ა. შ. და ა. შ.

თან ისიც უნდა ითქვას, რომ სიმონისთვის ფრიად დამახასიათებელი არც ერთი ეს წარმონათქვამი და არც სხვა მრავალი არ დარჩენილა ლიტონ სიტყვად: მათ ყოველთვის აქტიური და პრაქტიკული ნაბიჯები მოსდევდა. მთავარი კი ის არის, რომ ასეთი ნაბიჯები ზოგჯერ ავადობაზე გაცილებით უფრო მძიმე გასაჭირიდან დასახსნელადაც ყოფილა გადადგმული...

ყოველივე ამის გამო ინსტიტუტი ერთ დიდ ოჯახად და მშობლიურ თბილ კერად მიგვაჩნდა ყველას (და ეს დღემდე გრძელდება!). თვით სიმონისათვის კი იგი თითქმის მესამე ღვიძლი და სათუთად ნაზარდი შვილი იყო. მწამს, არ ვაზვიადებ!..

მაგონდება, ერთი საკანდიდატო დისერტაციის შემდეგ რა კმაყოფილი შემობრუნდა სიმონი დირექციაში (ოპონენტიც იყო) და თქვა:

— აი, რა მშრომელი და მიზანსწრაფველი, დალაგებით მოქმედი ყმაწვილია, ნიჭს გარიდა! ეგ შორსაც წავა და ბევრსაც გააკეთებს!

არც აქ შემცდარა: ის ყმაწვილი ახლა ფრიად სახელგანთქმული და აღიარებული მეცნიერია.

ერთხელ სიმონმა სიამოვნებით გვითხრა:

— რა კარგია, ეს არქეოლოგები რომ ყველა თავ-თავისებურად და თან კი ერთნაირად მდიდარი, ძარღვიანი ქართულითა წერთ — არც ზედმეტი ბავშვური სიმარტივით, ზოგს რომ დიდი რამ ჰგონია, და არც სქოლასტიკური სიმძიმით! თქვენ ხელთ რომ ძეგლებია, სწორედ ეგრე წერა შეშვენით!

ეს, ასე ვთქვათ, კოლექტიური შექება ორკეც საამური იყო: ქართული ისტორიული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი დიდოსტატი და მრავალი რამის თვალმახვილი, ფაქიზი რედაქტორი გვეუბნებოდა...

მაგონდება მეგობრული საუბედურიც, ამონაბეჭდის ჩუქებისას თქმული:

— ხომ ხედავთ, ეს ნამდვილად განახევრებული კაცი რაღაც-რაღაცეებს ვაქვეყნებ, რაც მიხერხდება. თქვენ რატომღა პასიურობთ? უკვე დროა, რომ ხშირად წეროთ და ბეჭდოთ: თქვენ თუ არა, აბა ვილასა აქვს საფიქრალი და სათქმელი?

ჩვენ კი ჩვენივე ხელით ამომზეურებული ზღვა ძეგლების სიდიადე და უკიდეგანობა გვიბორკავდა ხელ-ფეხს, ფსიქოლოგიურად. მაგრამ სიმონმა ეს მობოდიშება არ შეიწყნარა.

დირექციაში მუშაობამ სულ მალე ცხადჰყო ჩემთვისაც, თუ რით იწვევდა სიმონი საყოველთაო სიყვარულს, რიდსა და პატივისცემას; რატომ ეკიდებოდნენ იმედითა და ნდობით მის ყოველ დინჯად აწონილ-დაწონილ აზრსა თუ ნაბიჯს არა მარტო კოლეგები და მოწაფეები, არამედ გარეშენიც, მისით მოხიბლულნი. ახალს კი ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: იმ კაცში, მის უნიკალურ პიროვნებაში საუცხოოდ, თანაბრივ იყო შერწყმულ-შედნობილი მეცნიერული, პედაგოგიური, საზოგადოებრივი, ორგანიზაციული და პოლიტიკური სიბრძნე, გამჭრიახობა, გამბედაობა. თვით მასზედაც ზედგამოჭრილია ის, რასაც თავისი შესანიშნავი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის შესახებ წერდა თავის დროზე: „მეცნიერული კვლევა-ძიება მისთვის საზოგადოებრივი აქტივობის ერთ-ერთი ფორმა იყო მხოლოდ!"

საკავშირო აკადემიკოსი, ჩვენი აკადემიის უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი, ორგზის ლაურეატი, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი სიმონ ჯანაშია ემზადებოდა დიდ საერთაშორისო ტრიბუნაზე შესადგომადაც, მაგრამ აღარც ეს დასცალდა, ისევე როგორც მრავალი სხვა რამ...

სიმონი რომ დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს, „იზვესტიას" თბილისელმა კორესპონდენტმა შემოსთავაზა ინსტიტუტს მის შესახებ წერილის გამზადება გაზეთისათვის. ეს პასუხსაგებ-საპატიო საქმე მე დამეკისრა. კორესპონდენტმა წერილი არა და მისი სათაური კი დამიწუნა. მეცნიერული ნარკვევი ხომ არ არის, საგაზეთოაო! «Ведь так и просится заглавие «Воинствующий историк»! Это же прямо вытекает изо всего, что Вы о нем пишете!». უყოყმანოდ დავეთანხმე ნაცად ჟურნალისტს: მართალი იყო ის კაცი!

დასასრულ, მინდა გადმოგცეთ ნაწყვეტი სიმონის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოსვლის საოქმო ჩანაწერიდან. სამეცნიერო საბჭოზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის 1946 წლის ანგარიშის მოსმენა-განხილვის შემდეგ სიმონი ამბობდა: „ჩვენი პატარა კოლექტივი ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენს და ეს ძალიან ბევრს რასმე გვავალებს... საბოლოოდ, ჩვენი კოლექტივი ჩამოყალიბდა, როგორც შედუღებული, წესიერი და საქმით დაინტერესებული. მაგრამ 1947 წლის ანგარიში უკეთესად უნდა გამოიყურებოდეს, ვიდრე 1946 წლისა გამოიყურება".

ეს სიტყვები ანდერძივით ჟღერდა, მით უმეტეს, რომ 1947 წლის ანგარიშის განსჯას სიმონი ველარ მოესწრო. ინსტიტუტი კი მას შემდეგ განუხრელად იზრდება, ღონიერდება, მრავალფეროვანდება: ის თავდაპირველი დვრიტა ფრიად კეთილი და ნაყოფიერი გამოდგა. სიმონის აზრისა და გულის მადლი დღემდე მონათის ამ, უკვე ნამდვილად დიდი კოლექტივის დაძაბულს შემოქმედებითს მუშაობას...

* ნაწყვეტი ამოღებულია განსვენებული მეცნიერის მოგონებიდან.

მიეძღვნა მუზილის შემოქმედებას

ამას წინათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტურული და მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრამ მოაწყვეს ავსტრიელი მწერლის — რობერტ მუზილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სამეცნიერო კონფერენცია.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა გოეთეს საზოგადოების პრეზიდენტმა დ. ლაშქარაძემ.

მოხსენებები წაიკითხეს: ი. არხიპოვმა — „რობერტ მუზილი და მე-20 საუკუნე" (მოსკოვი); დ. დავლიანიძემ — „მუზილის ნოვატორობა" (თბილისი); მ. ახალკაცმა— „ესეიზმი მუზილის „უთვისებო კაცში" (თბილისი); ა. კარელსკიმ — „რობერტ მუზილი და რომანტიკული ტრადიცია" (მოსკოვი); გ. მარგველაშვილმა — „ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თემატიკა მუზილის „უთვისებო კაცში" (თბილისი); გ. ჩხეიძემ — „თხრობითი პერსპექტივის პრობლემა მუზილის რომანში" (თბილისი).

რ. მუზილის ნაწარმოებთა უახლეს გამოცემათა შესახებ ინფორმაციით გამოვიდა გამომცემლობა „პროგრესის" უფროსი მეცნიერ-რედაქტორი ნ. ბელიაევა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

შოთა ნიშნიანიძე

ახალი ლექსები

აი, რა მიამბო რაჭაში ფუტკარმა ზუზუმ 1980 წლის შემოდგომაზე

გაქყლეტილ ყურძენზე მოფუთფუთე ფუტკარს ქიქა ჩამოვამხე და მისი ბზუილი ასე გადმოვწერე.

მე შინაური ფუტკარი ვარ
და ზუზუ მქვია,
სკაში
შორეულ საშოვრიდან
ვბრუნდები გვიან.
მთელი დღე ტკბილი ყვავილების ბუტკოებს ვწუწნი,
ვთვრები,
ვმძიმდები
და დავფრინავ
სულ დაბლა-დაბლა.
მალე ყვავილის რძე, ნექტარი, მტვერი, ბუწუნო
სკაში ფიჭაში ჩასარკდება კრიალა თაფლად.
სპილოს ხორთუმზე ძლიერია ჩემი ხორთუმი,
ეს არც კვეხნაა და ამდენად არც ჩიქორთული.
ნესტარს და ხორთუმს ვხმარობ, როგორც
ანტენას,
კომპასს,
ფრთებზე და ტანზე მეწებება ამინდის ცნობა,
და ამ ყვავილებს, ბალახ-ბულახს, ველზე მორთხმულებს
ყნოსვით ვკითხულობ, როგორც წამლის რეცეპტ-ფორმულებს.
ჩვენ შენთვის ვწვალობთ,
შენ კი ტლუ ხარ და უმეცარი, —
ბუზივით გვხოცავ, შენს სუფრაზე თუ წაგვესწარი.

. . . .

ერთ დედა-ფუტკარს
ყველა ვმონებთ და ყველა ვუვლით,
არ გვეკარება ღამითაც კი თვალებზე რული.

არ გვწამს პლატონის სახელმწიფო (არც უტოპია
თუნდ თომას მურის).
ფუტკრების ოჯახს ჯერ არავინ დაუთოფია,
ისრით ვაგვარებთ, თუ ვინმესთან საქმე გვაქვს მტრული.
ბედნიერი ვართ, რომ არ ვიცნობთ ცეცხლს, თოფის წამალს,
ცეცხლი ღმერთია თუ სატანა, ვერც მივიწამებთ.
აი პრომეთე კაცთა შორის თუ დაიბადა...
ვნახოთ... ახლა კი მოგვადგები რკინის პირბადით —
ნამდვილად შუა საუკუნის რაინდის შარჟი —
ფუტით გვარბევ და,
რა თქმა უნდა, თავს იგდებ შარში.

კაცო, რას გვერჩი — მწერები ვართ მთლად უწყინარი,
ხილ-კენკრა გვიყვარს სანუგბარე და სამურაბე,
მაგრამ თუ ვინმემ შემოგვბედა წყენა წვრილმანი —
დავიხოცებით ისე, როგორც სამურაები.

დათვებს ვთვლით ბოროტ კიკლოპებად ანუ დევებად
და მათაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ მზად ვართ შევებათ.
კრაზანა კიდე... ეს კასტაა პარაზიტული,
მარადის მახვილშემართული,
ფარ-აზიდული.

ფუტკრიჭამია ველურების ბრბო მომთაბარე
ღრუბლად გადასდუღს ხის ფუღუროს
და კლდის ნაპრალებს.

შემოგვეყრება ყიჟჩალივით თუ მონღოლივით
და რაც მოხდება, თქვენც ხომ ბევრგან გაქვთ მოყოლილი.

სკები-ოდები ლამის არი გავაყაზარმეთ,
რომ საკადრისად დავხვდეთ კრაზანებს.

ვით ამორძალი ურა ცხენის ფაფრიან კისერს,
გონგორას სტრიქონს მეტაფორად ვკიდივართ ისე.

ჩვენც ამორძალის სისასტიკით მამრს დროზე ვმუსრავთ,
თუმც მამრის ნაყოფს სიყვარულით ჩვენც ვილებთ მუცლად.

ყველა პარაზიტს ვაწყევლინებთ ზიარების დღეს
ჩვენი ფუტკრული სახელმწიფოს ძლიერებისთვის.

მაშ გაუმარჯოს მატრიარქატს — შრომის ეპოქას,
მშვენიერ სქესს რომ საკუთარი ოფლით ეპოხა.

ო, მიწიერო ღმერთო,
შენ გეაჯებით წყნით,
ჩვენი სახლ-კარის ერდო
ამბიონია შენი,
ალალი იყოს თაფლი,
ცვილიც ალალი, შხამიც,
ნუმც დაგლეოდეს ტაბლით,
კასრით, ამფორით, ჯამით.

შენაც არა ხარ უმტრო,
შენც შენებურად ფუტკრობ
და რანაირად ვცხოვრობთ,
შენ თუ გაიგებ მხოლოდ.

გვეყო ამდენი ვიში,
გვეყო გაძრობა სიქის,

შენ გადააგე ჯიში
მურა დათვის და ბზიკის.
ღმერთო, გვაშორე ბზიკი,
ღმერთო, გვაშორე დათვი!

კაცო, ხელები იქით!
შენი დათვური თათი!
სულაც არა ხარ სათნო,
შენც ყაჩაღობ და ციგნობ,
კაცო — შე დიდო დათვო!
კაცო — შე დიდო ბზიკო!
შენც არა ნაკლებ მძარცვავ,
შენც არა ნაკლებ მარბევ,
და არა ნაკლებ მკაცრად,
და არა ნაკლებ ხარბად.
ო, რამდენს ცოდავ მართლა,
რა ხშირად კარგავ სინდისს —
მე თაფლს ღვთაებრივს მართმევ,
შენ ნაეშმაკარს ყიდი...

. . . .

ამ სამართლიანი ჩივილის შემდეგ ფუტკარი, რა თქმა უნდა, გავუშვი... ახლა ამ ნაჯაფარ მწერს სკაში შაქრიანი წყალი უდგას, მე კი (აბა, როგორ დაგიმალოთ?) მის თაფლს შევექცევი...

გადაძახილი მარკუს იუნიუს ბრუტუსთან (84-42 ძვ. წ.)

— სალამი, რომის მოქალაქევ,
სალამი, ბრუტუს!

მე არას ვკადრებ იმპერატორ იულიუს კეისარს,
როგორც გენიას რომაულ კერისას.

ვერც ჰამლეტისას გავიმეტებ ყოყმანს და იჭვებს,
მაგრამ მეტ ვნებას შენდამი ვიჩენ.

თავისუფლების შებღალულის, მცირის თუ დიდის,
მე შენ გიწოდებ ფარსა და მახვილს,
შენ — მამაკაცურ სიამაყის შელახულ სინდისს,
განწირულ ძახილს.

ვერ შეეგუე ვერც ლომის თათს, ვერც ლომის ბრდღვინვას,
მამაცო ბრუტუს,
სხვის აღზევებას, სხვის დიდებას, სხვის ღმერთად ხილვას,
ამაყო ბრუტუს!
თავისმოკვლის წინ კითხულობდი დილეგში „ფედონს".
და ცოდვა (იქნებ მამისმკვლელის!?) სასთუმლად გედო.

. . . .

ყურს ვუგდებ რომის ისტორიის ჭიხვინს და ფრუტუნს,
სალამი, მგელო ბეწვაშლილო, სალამი, ბრუტუს!..

მისტიკური ლეკვის ბალადა

ერთხელ ბაზრის წინ ვიპოვე ლეკვი,
გრძელბეწვიანი ლეკვი ტანჭრელი
და ონკანისქვეშ კარგა ხანს ვრეცხე,
როგორც ფართხუნა ღრუბლის ნაჭერი.

და რომ გვქონოდა მეტი მსგავსება
ზნით, გარეგნობით, თუნდაც სვე-ბედით, —
ჭკვიანი ლეკვი თავს იბავშვებდა,
მეც, რა თქმა უნდა, თავს ვილეკვებდი.

და ერთხელ, როცა ავადმყოფობა
კოლოს ქშუილით თავს დამბრუნავდა,
წკმუტუნთან ერთად სიცხის ოხობა
მორიგეობდა ჩემს სასთუმალთან.

ღამეს ათევდა ლეკვი ლოგინთან
და შეყმუოდა ცის დასალიერს,
გოროზ ანგელოზს ფრთებს ულოკავდა·
— მე წამიყვანე ბიჭის მაგიერ...

ცა იქცეოდა ზარების რეკვით
და მე გადავრჩი... (მიკვირს თითონვე!)
გადავრჩი, მაგრამ საბრალო ლეკვი
დილით სანოლქვეშ მკვდარი იპოვნეს.

ალბათ იმ ღამით დედამიწაზე,
სიყვარულის წილ როგორც სასჯელი,
განშორების და ჩემი მიზეზით
წვიმდა ფართხუნა ღრუბლის ნაჭერიც.

ეს მოგონება — მცირე და ძუნწი,
ავადმყოფური თუ მისტიკური,
ვერ მოვიშორე და სისხლსაც მწუწნის,
ვით ლეკვის ტანზე ტკიპა მიკრული.

და როცა ციდან დარდის ამშლელი
ჩამოდის წვიმის მელანქოლია,
ყველა ფართხუნა ღრუბლის ნაჭერი
ჩემი საწყალი ლეკვი მგონია.

ხომ არ მისტირის ის ლეკვი წარსულს,
ამ ცოდვილ მიწას როცა ჩამოჰყეფს,
როგორც დაკარგულ (კაცურს თუ ძაღლურს),
მაგრამ ერთადერთ ნამდვილ სამოთხეს.

და ბოშამ ახსნა ყავის ნალექზე
სილუეტები ვარსკვლავთა, ყვავთა:
— ის ლეკვი სულაც არ იყო ლეკვი.
სული იყო და მფარველად გყავდა.

და სამოთხეში ვინც კი მოხვდებით,
ის იქ დაგხვდებათ სამოთხის კართან,
არ გაანბილოთ, თუ მელოდება
და ანუგეშეთ მოკითხვის გარდა.

ძაღლი „ტრისტანი"

ამაყი, ცქაფი, მკერდაზიდული,
მართლაც ავაზის და მგლის ნაზავი,
გრძელი, მბზინვარე ბეწვი მდიდრული
ტანზე მოესხა მანტიასავით.

არ დაუზოგავს ბუნებას კალთა,
არ უძუნწია არარაითი:
ორ ფეხზე დგომა და დაშნა აკლდა,
თორემ ნამდვილად იყო რაინდი.

მესერს მომდგარი უბნის ძუკნები
თავს აწონებდნენ ლამაზს და გულადს,
შესციცინებდნენ და კუდს უქნევდნენ,
თანაც ერთმანეთს ზომავდნენ მტრულად.

ის იდგა დინჯი და მედიდური
და რაკი თავის ფასი იცოდა,
ამპარტავანი და რაინდული
ელოდა კიდეც თავის იზოლდას.

და როგორ გაქრა ერთხელ ეზოდან,
მანქანებს ჰკითხეთ გისოსიანებს,
მაგრამ ჯერ ჰკითხეთ ბოროტ მეზობლებს
და მერე, მერე კაცთა სიავეს.

თითქო იმ დღიდან ჩემი ცხოვრება
კიდევ რაღაცით გახდა ნაკლული —
თუნდაც ძაღლური ყეფით, ზმორებით,
ბედნიერებით თუნდაც ძაღლურით.

. . . . .

ეზოში დახტის ტრისტანის ყეფა,
ჩვენ მოგონებებს ვეძახით რასაც
და ჯაჭვი,
ძაღლი რომლითაც ება,
ჩანს რექვიემის მდუმარე ფრაზად...

ლოთის სიმღერა

თუ უსმელი ვარ — ჩლუნგი ვარ,
ბლუ ვარ, ბენტერა ჭუკი ვარ
და გულზე მაწევს ლოდი.
დავლევ და დარდიმანდი ვარ,
ამირანივით დავდივარ,
სიტყვაც თავისით მომდის.

ვპატიჟებ ჯიგარ ძმა-ბიჭებს,
პირზე ვკოცნი და ვპატიჟებ,
ვინც კი შემხვდება გზა-გზა.
დოსტებს ღვინოებს ვუგზავნი:
ზოგს თეთრი, ზოგს — მუკუზანი
და შამპანურიც ზოგ-ზოგს.

— მოდით, სისხამზე, ბიჭებო,
ძმაკაცის ჭერქვეშ ვიჭქოთ,
მასთან მოვიკლათ ხოში!.. —
და, ჰა, სიმღერით, ბოთლებით
კარს მივადგებით ლოთები
და წამოვუყრით ცოლ-შვილს.

წრიალებს დიასახლისი
გამოგონილი ხალისით,
თითქოს იჭრება ხუთად.
თან ვმღერით, თან ვსვამთ, თან ვმსჯელობთ,
აკვანში მტირალ ანგელოზს
თამბაქოს კვამლით ვხუთავთ.

მერე ქუჩებში ვყაყანებთ...
არ გვიჩერებენ მანქანებს
და სულს ვუგინებთ მძღოლებს.
ამ ჩვენი ლოცვა-კურთხევით
თუ ვისმე ძილი უფრთხება,
სულ მაგას ვდარდობთ სწორედ.

დილაზე თავი მისკდება,
შელახული მაქვს ღირსება,
ვკვდები, მიშრება ყრონტი,
გასუსული ვარ, ვიდრემდის
მიტევს ცოლი და სიდედრი
შეერთებული ფრონტით.

ამ ღამის ნატრაბახალი
დაფორთხავს, როგორც ბახალა
ჩამოვარდნილი ბუდით,
ახ, მომცა ერთი ტარანი,
ხმელი, ქვირითა ტარანი,
ცივი, ქაფქაფა ლუდი!

მიმტანიც „ვასიამოვნე" —
ტკიცინა ასიანები
პირდაპირ შუბლში ვტკიცე.
მთლად დავულოშნე თავპირი,
ალბათ რას აღარ დავპირდი.
ვილაც ჩუმპიან ბიძებს.

დღეს ჯიბეცარიელი ვარ,
ჩემივე თავის მტერი ვარ,
მევალეც მადგას კარზე,
ისე ვარ ნაბახუსარი,
ვით გაროზგილი ჰუსარი,
რომ ელოდება კარცერს.

მალე ავილებ ერთბაშად
ჰონორარსაც და ხელფასსაც
და შევუბერავ მალე.

. . .

— ძმავ, სიგარეტი გექნება,
ერთი, ასანთიც გექნება,
მომაწევინე ბარემ...

●

სიზმარი ვნახე: ცოტა ვიყავით
და ვინც ვიყავით, ტივზე ვისხედით.
ტივს მოჰყვებოდა და მოყვინთავდა
თბილისი, მცხეთა, გორი, ქვიშხეთი.

ცოტა ვიყავით და ყველა ჯუჯა, —
მეხოტბეები გარდასულ დროთა.
ხოლო მამული სულ ერთი მუჭა
ტივზე ჩამომჯდარ ჩიტივით თრთოდა.

ხელში გვეჭირა ჯიხვის ყანწება
და გავკიოდით ქონდრისკაცები:
„მასვი, მაჭამე, მალხინე...
„ოუ ჩელა", სიჩერჩელა,
რასაც შეჭამ, ის შეგრჩება"...

●

ერთხელ გზისპირად ვნახე კოჯორთან —
არ მავიწყდება ის დღე წყეული —
მკვდარ დედას თავზე ადგა ჩოჩორი
ყურებდახრილი... ლეწჩად ქცეული.

ოი რა სევდა ედგა თვალებში!
ოი რა ულმერთო და უსაშველო!
ყველა არიდე ასეთ კაეშანს,
ყველა, ო ყველა, არსთა გამჩენო!

შოფერს წამოცდა: ეჰ, ეს ტიალი... —
და მერე ერთხანს გაუწყდა სიტყვა —
—გუშინაც აქეთ ჩამოვიარე...
ჰოდა... ჩოჩორი ეგრევე იდგა...

?

კი, ჩაუვარდა როლი... უსტვინეს...
და სხვა როლებზეც უთხრეს უარი.
სხვას, ზუსტად ასეთს, ბედი უცინის
და ტაშიც ერგო უფრო უარესს.

მაოცებს ორი ერთნაირ წიგნის
ორი ფინიში და ასპარეზი,
ანდა დიდებას როგორღა იმკის
უფრო ნაკლები ან უარესი.

... ის დგას წვიმაში გატრეცილ ქოლგით
და ფიქრობს როლზე..., წიგნზე, მთვარეზე...
სხვა ასეთივე სეირნობს ვოლგით,
ზუსტად ასეთი ან უარესი.

საუბარი ხინკალზე შეპატიჟებულ მოხევესთან

— მამაპაპურო ხინკალო,
ხინკალო, შე მადლიანო,
ბებერი საჭურისივით
რამ დაგამჭლევა, ტიალო?!

ქალაქს ვერ განახა ქართველმა,
ველარც არაგვზე გიხილა —
მთვარისებრ აფუებული
და ლურჯაისებრ ხვიხვინა.

შენ წინაპარმა მოგნათლა,
რკინის თითებით მოგხვეტა
და ჩაგაწურა სიფიცხე
ჯაჭვისპერანგა მოყმეთა.

იქით თერგს ჩამოვივლიდი,
აქეთ არაგვის ხეობას,
ხინკალს და შაირს შავხვრეპდი,
როგორც წინაპრის მხნეობას.

— ტიროდე, მირანგულაო,
ხინკალიც წახდა, ლექსიცა,
შენ ნუ წახდები, ძმობილო,
ლეკვო ალგეთელ ლეკვისა.

აღარც ხინკალი ჭიხვინებს,
არც ხინკალივით შაირი.
მთაო, ერთხელაც აკურთხე
კაი ყმა ვაჟასნაირი.

. . . . .

კიდევაც მნახავთ არაგვზე
და თერგსაც ყინჩად ჩავივლი,
ერთმანეთს შესჭიხვინებდეს
ლუდი, ხინკალი, შაირი.

მთიულური ცეკვა

თვალი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყერზედა...
— მე ვარ მახვილი შიშველი,
შენ ხარ ლერწამი ნერწეტა.

— ჰაუ მახვილო კაშკაშა,
ვერ შეგეყრები ხვალ-ზეგა,
ან დამიგულე ქარქაშად,
ან შეგეჭრები ფხაზედა.

და აიტაცებს სიმღერას
ტაში და შემოძახილი,
ფრთებს გამოისხამს ლერწამი,
გაიფოთლება მახვილი.

— ახ, მწყერო გასაპუტავო,
ლერწამო ხმასაამურო,
ან როდის გაგკრა ნისკარტი,
ან როდის გასალამურო...

ჭიანჭველების მარში

(ბერანჟეს თემის ვარიაცია)

აქაც და იქაც ომია,
ომი,
ომი
და
ომი!
პეპელაა თუ ლომია,
თუ ორფეხების ტომი.

რა მუდამ აფუტკნული ხარ,
რა სულ ფუთფუთებ... ომობ,
ჭიანჭველების ათენავ,
ბაბილონო და რომო;

ჟღრიალებს ჯავშან-ბეგთარი,
ისარ-ჰოროლი წვიმს.
— სიკვდილი ან გამარჯვება!
— ჭიანჭველებო, წინ!

ჰა, გალავანი გალუს,
ყიჟინით შეყვნენ ხრამებს,
კალიას, როგორც გულივერს,
გაბოჭავენ და ხრავენ.

წაასხეს ტყვე და ალაფი,
სანოვაგე და სარჩო.
გამარჯვებულთა სარდალი
დროშას გოდოლზე არჭობს.

აგერ გვიმრებზე ბინადრობს
ლოკოკინების კასტა,
ერთი მივეჭრათ, გავჟუჟოთ,
მაგათ რა უნდათ ცასთან!

გვიმრების იქით ჯუნგლია
ფერადკანიან მღილთა.
აქამდე მათი ატანა
ან მეზობლობა ღირდა?

სამყურას კოსმოდრომიდან
ცეცხლის შლეიფით, ცერად
ჭია-მაია აფრინდა
და ჯაშუშურად გვზვერავს.

დროა ავუხტეთ ვარსკვლავებს
და რწყილებივით ვხოცოთ,
მოალყე დამპყრობლებივით
მთვარის მივუსხდეთ კოცონს.

ჩვენა ვართ უფლის რჩეული
და უმაღლესი რასა,
და ჩინებულად ვასრულებთ,
ღმერთი გვავალებს რასაც.

ჩვენია მთელი სამყარო,
ჩვენია, ჩვენი... მაშ-მაშ!
წინ იერიშზე, ბიჭებო,
წინ იერიშზე, მარშ-მარშ!!.

. . . . .

აქ ძროხამ ჩამოიარა
ჩრდილის ვეება ზვინად
და ცხელი ფუნით დაფარა
ჭიანჭველების დრტვინვა.
— მარშ!
— მარშ!
— მარშ!..

სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

ადამიანის ბედი ეკრანზე

ქართულ ფილმს „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და ფილმის შემქმნელ კოლექტივს 1980 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტი შეხვდა ფილმის მთავარ რეჟისორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ლანა ღოღობერიძეს, რედაქციის სახელით მიულოცა სახელმწიფო პრემიის მინიჭება და მიმართა რამდენიმე კითხვით:

●

— რით არის ეს ფილმი თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი? გთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოუთხროთ მის შესახებ.

— რეჟისორისათვის ყოველი ფილმი მისი ცხოვრების ნაწილია. ეს არის ნატეხი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმ განცდების, გრძნობებისა და ფიქრებისა, რომელიც ადამიანშია მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე... და ალბათ ყოველი ადამიანისთვის დგება ისეთი მომენტი, როდესაც უფრო მწვავედ უჩნდება შეგრძნება, რომ საჭიროა სხვებსაც მოუყვეს ის, რაც პირადად აქვს განცდილი. თუმცა ეს სრულებით არ მიმაჩნია ხელოვნების ნაწარმოების შექმნის აუცილებელ პირობად. შეიძლება ფილმი თუ სხვა ტილო ემყარებოდეს მოვლენების უფრო ობიექტურ ცოდნას, მაგრამ ერთხელაც ადამიანს ეუფლება შეგრძნება — გაანდოს მაყურებელს თუ მკითხველს უაღრესად პირადული განცდა. მაშინ, ჩემი აზრით, ნაწარმოები უფრო ინტიმურ ჟღერადობას იძენს.

ასეთია ჩემთვის ეს ფილმი. როდესაც ფილმის პირველი განხილვა მოეწყო მოსკოვის კინემატოგრაფისტთა კავშირში, კინორეჟისორმა ლევ არნშტამმა თქვა, ესაა ფილმი-აღსარებაო. აქვე მინდა დავაზუსტო, რომ ფილმი არ არის მხოლოდ ავტობიოგრაფიული ხასიათის, მხოლოდ ბიოგრაფიული ფაქტების, პირადად განცდილის სინთეზი... ხოლო რაც შეეხება წარსულს ფილმში, ის სავსებით ავტობიოგრაფიულია და ნამდვილად პირადად განცდილს ემყარება.

— ფილმში ასახულია თანამედროვე ჟურნალისტის ცხოვრება, საინტერესოა, რატომ შეჩერდა თქვენი არჩევანი ჟურნალისტის პროფესიაზე. ეს, უბრალოდ, შემთხვევითი არჩევანია თუ ფილმისთვის აუცილებელი დეტალი?

— თავიდან, როდესაც ვიწყებდით ფილმზე მუშაობას, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ერთი რამ: გვინდოდა მოგვეთხრო ერთი ადამიანის თავგადასავალი, მაგრამ ისე, რომ მისი ბედი ორგანულად ყოფილიყო დაკავშირებული სხვა ადამიანების ბედთან. მთავარი იყო არა ასახვა ერთი ადამიანის პირადი დრამისა, არამედ შექმნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანამედროვე ქალის კოლექტიური პორტრეტისა. ჩვენი ანალიზის ცენტრში იდგა ისევ და ისევ თანამედროვე, — კონკრეტულად, თბილისელი — ქალი და გვინდოდა ამ სახით მისი სოციალური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური გააზრება. აი, ამ თვალსაზრისით ვეძებდით ქალისათვის შესაფერის პროფესიას. ბევრი წვალებისა და ფიქრის შემდეგ ავირჩიეთ ჟურნალისტის პროფესია, უფრო კონკრეტულად — ჟურნალისტი, რომელიც წერილების განყოფილებაში მუშაობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფილმის მთავარი გმირის, სოფიკოს ცხოვრება ორგანულად არის დაკავშირებული სხვა ადამიანების, კერძოდ, იმ ადამიანების ცხოვრებასთან, რომელთა ბედი არცთუ ისე კეთილად აეწყო, ადამიანებისა, რომელთაც უჭირთ... აი, ამან განსაზღვრა ფილმის მთელი სტილისტიკა და ჩემთვისაც, მართალი რომ გითხრათ, ეს არის ყველაზე ძვირფასი ფილმი.

ვფიქრობ, სწორედ სოფიკოს პროფესიამ გამოიწვია მაყურებელში რწმენა, რომ ჩვენს გმირს მართლა აინტერესებს მოყვასის ბედი. ადამიანები, რომლებთანაც მას უხდება შეხვედრა, ისე არიან შემოსული მის ცხოვრებაში, რომ უმათოდ სოფიკოს, ალბათ, სიცოცხლეც კი აღარ შეუძლია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ როდესაც ასეთი ინტერესი ადამიანის პროფესიასთან არის დაკავშირებული, ამ გრძნობას არავითარი დეკლარაცია და სპეციალური განცხადება არ სჭირდება. ფილმში არსად არ ვამბობთ, რომ სოფიკო კეთილია. ის მხოლოდ უსმენს ადამიანებს, რომელთაც დიდი ტკივილი აქვთ, და როდესაც ვხედავთ, თუ როგორ უსმენს, ვრწმუნდებით მის სიკეთეში.

ამდენად ჟურნალისტის პროფესია სრულიად აუცილებელი იყო, უამისოდ სოფიკოს სახე სულ სხვა განზომილებაში გადავიდოდა.

— „რამდენიმე ინტერვიუს...“ დამდგმელ ჯგუფთან მომავალ ფილმშიც ხომ არ გაგრძელდება თქვენი შემოქმედებითი თანამშრომლობა?

— ყველანი, ვინც სახელმწიფო პრემია მიიღო, ფილმის ნამდვილი შემქმნელნი, ჩემი თანამოაზრენი და ამავე დროს მეგობრებიც არიან. მე უბრალოდ, მენანება, რომ სახელმწიფო პრემია ვერ მიიღო ყველამ, ვინც ჩვენს ფილმზე მუშაობდა. რადგან ყოველმა მათგანმა, იქნებიან ეს მსახიობები — გია ბადრიძე, ქანრი ლოლაშვილი, სალომე ყანჩელი, ქეთევან ბოჭორიშვილი, ლევან აბაშიძე და ნუცა ალექსი-მესხიშვილი, თუ ფილმის კომპოზიტორი გია ყანჩელი, — რომელიც მე პრინციპულად დამეხმარა ფილმის დამონტაჟებაშიც კი, ხმის ოპერატორი — ვლადიმერ დოლიძე თუ სურათის დირექტორი — ნათელა იმერლიშვილი, მემონტაჟე სოფიო მაჩაიძე თუ მხატვარი-ფოტოგრაფი რიგან ვართანოვი, — ყველამ თავისი დიდი და სერიოზული წვლილი შეიტანა ფილმის შექმნაში.

მათ შორის უსათუოდ გამოვყოფ ზაირა არსენიშვილს. ჩვენ უკვე მეოთხედ ვხვდებით ერთმანეთს ფილმში და მომავალი ფილმის სცენარსაც ერთად ვწერთ. ის ძალიან თავისებური და საინტერესო მწერალია, საკუთარი, თვითმყოფადი, ემოციური სამყაროთი და უაღრესად მდიდარი ენით. საოცრად მოკრძალებული ადამიანია და ალბათ ამიტომ არ ბეჭდავს თავის ნაწარმოებებს, თუმცა მისმა პირველმა მოთხრობამ „შაშაბაზამ“, რომელიც ადრე ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა, თავის დროზე დიდი აღიარება მოიპოვა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ზაირა არსენიშვილი თავის სიტყვას იტყვის არა მარტო კინოდრამატურგიაში, არამედ ქართულ პროზაშიც.

მომავალ ჩვენს ფილმს ისევ ოპერატორი ნუგზარ ერქომაიშვილი გადაიღებს. ეს კაცი თავის პროფესიაში ჭეშმარიტი მხატვარია. მას აქვს გარე სამყაროს ძალიან მძაფრი ხედვა და შეგრძნება. და იმასაც ვფიქრობ, რომ მისი პალიტრა კიდევ უფრო მოერგება ჩვენს შემდგომ სურათს, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს ბუნებას უჭირავს. ხოლო კომპოზიტორ გია ყანჩელის გარეშე ვერ წარმომიდგენია ამა თუ იმ ფილმის შექმნა. მას საოცრად ზუსტად ესმის ფილმის დრამატურგია და გრძნობს მის გამომსახველობით მხარეს. ამიტომაცაა, რომ მისი მუსიკა ყოველთვის ეხმარება სურათის ძირითადი კონფლიქტის გაღრმავებას და არასდროს არ ატარებს ილუსტრაციულ ხასიათს.

რაც შეეხება სოფიკო ჭიაურელს, ჯერ ვერ გეტყვით ზუსტად, იქნება თუ არა მისთვის შესაფერისი როლი ჩვენს მომავალ ნაწარმოებში, ჯერჯერობით ფილმი ცოტა სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი...

— თქვენი სამომავლო გეგმები...

ზაირა არსენიშვილთან ერთად ვამთავრებ ახალი ფილმის სცენარს, რომლის სათაური პირობითად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს — „ერთი დღე და მთელი სიცოცხლე“. ფილმში ასახულია სიცოცხლის ბოლო დღე ქალისა, რომელიც ამჟამად ოთხმოცი წლისაა. სურათში, ამავე დროს, ვყვებით მთელი მისი ცხოვრების ამბავს, რომელიც გადაჯაჭვულია მისივე ერის ცხოვრებასთან. ჩვენი მთავარი გმირი კახეთის მთიანი სოფლიდანაა. მან მონაწილეობა მიიღო ამ საუკუნის ისტორიულ კატაკლიზმებში, ამდენად, გასაგებია, რომ ფილმის მთავარ გმირსაც დიდი სოციალური თუ ფსიქოლოგიური ძვრების გადატანა მოუხდა თავისი გრძელი ცხოვრების მანძილზე.

კადრი ფილმიდან — „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხზე“.

პუბლიცისტიკა

ორი კაცი

ვანო ჩხიკვაძე

ზუსტად არ ვიცი, რა დროა. მგონი თორმეტს გადასცდა. დაგვიანებული მგზავრის ფეხის ხმა თანდათან უფრო შორიდან ისმის და ბოლოს სულაც იკარგება. ვინ არის, ვინ დააგვიანა შინ მისვლა? იქნებ მეგობრებთან მასლაათს შეჰყვა და საათს გვიანღა დახედა, ან საზეიმო სუფრა მიატოვა და კმაყოფილი და შეზარხოშებული მიაბიჯებს შინისაკენ, სადაც მას უკვე შეფიქრიანებული ახლობლები ელოდებიან?

ვინ არის ეს კაცი, ვის გზასაც გამყურებს მეგობარი თუ ახლობელი? რა გზით უვლია დღემდე, რა გზით წავა ხვალ? თავისი არსებობით მტკიცე საძირკველს დგამს თუ ჩალით ხურავს ქვეყანას?

ეჭვგარეშეა, ან ერთი იქნება ან მეორე — გზაზე ხომ მუდამ ორი კაცი დადის, ერთნაირი ჩაცმულობითა და მიხრა-მოხრით, მაგრამ მაინც სხვადასხვა. მათ შორის არსებულ უფსკრულზე ხიდი ვერ გაიდება, მათი მწვრა სხვადასხვა მხარეს მიზუზუნებს და ერთ ნიშანს არ ხვდება.

გარეგნულად კი ყველაფერი რიგზეა — გზაზე ორი კაცი მიდის...

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ნაპოლეონს ცხენზე ამხედრებული თანამებრძოლი ეახლა და თავის თავზე მოახსენა, მოკვდაო; პატაკი დაამთავრა და სასიკვდილოდ დაჭრილმა სული განუტევა.

უკვე წარმოვიდგინე შენი გაცეცხებული თვალები, მაგრამ განა ადვილია პასუხის გაცემა? — ადამიანის შესაძლებლობები ხომ ბოლომდე გაურკვეველია და შეუცნობელი: ეს კაცი უფრო ადრე, ბრძოლის ველზე მოკვდა, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობამ შეაძლებინა (სათქმელად ადვილია), თავისი სიკვდილის ამბავი თვითონვე მოეხსენებინა მხედართმთავრისათვის. „ლამაზი სიკვდილი“ ალბათ ეს არის, თუ საჭიროა აღსასრულის წამი გააგრძელო, სიკვდილის მერეც ფეხზე იდგე...

ერთხელ ნათესავს უთხრეს — გაიგე, ესა და ეს გარდაცვლილაო! — განა ეგ კაცი „ცოცხალი“ იყოო? ამის მოსმენამ ძლივსშესამჩნევი ირონია ვერ დაიჭირა და გულწრფელად გაუკვირდა: — როგორ, იმ დღეს ღვინის წრეში არ ვნახეთო? — კი ვნახეთ, მაგრამ ცოცხლებში თუ ეწერა, ეგ კი აღარ ვიცოდით.

საუბარს მე თვითონ შევესწარი და არ მესიამოვნა გარდაცვლილის ასე მოხსენიება. მერე ხსოვნაში თანდათან ამოტივტივდა გარდაცვლილთან დაკავშირებული „რაღაც-რაღაცეები“ და ჩვენდა სამწუხაროდ იძულებული გავხდი ნათესავის ერთობ მკრეხელურ აზრს დავთანხმებოდი.

ის კაცი ადრე ფინაგენტად მუშაობდა, გალაქული „აზიაცკებით“, მხარიღლივ გადაგდებული ტყავის ჩანთით დადიოდა... შემოდგამდა რომელიმე სახლის წინ ჯირკვზე ან ქვაზე მარჯვენა ფეხს, თეძოზე მოგდებულ ჩანთას წინ გადმოიტანდა, მუხლისთავზე გადაშლიდა, ქიმიურ ფანქარს ენისწვერზე დაისველებდა და ქვითრებს ავსებდა.

— რათა, კაცო, ამდენი რათა! — ულონოდ გაიბრძოლებდა ვიღაც.

— მაშ რა გეგონა, წინ და უკან რომ დამაწანწალებ, ესეც ჯარიმა და თუ დროზე არ გადაგიხდია!.. — ყველამ იცოდა, ეს მუქარა რასაც ნიშნავდა: ნებით არ გვაძლევ — ძალით წავიღებთო; მიჰქონდა კიდეც, მაგრამ იმის გამრკვევი კი არავინ იყო — სად! — იქ, ვისი სახელითაც მოდიოდა, თუ?..

თავისი ხალხი მუავდა, ყველასთან პურს როგორ გატეხავდა.

ერთხელაც, როცა ვიღაცის სახლიდან, გვარიანად შემთვრალი და ფერდმოღუშული გამოვიდა, ღობესთან მიწოლილ ძაღლს ზედ გადააწყდა, მყეფარს ბევრი არ დაუყოვნებია, პირდაპირ რბილ ადგილებში ეცა, შეაბორძიკა და სისხლიანი დრუნჩითა და პირში გაჩრილი გალიფე-შარვლის ნახევით შორიახლო დადგა, ისევ ავად მომზირალი. სოფელი შეიყარა.

— ვისია, მაგის!.. — უყვიროდა გამწარებული, ცხადია, პატრონმა ენა მუცელში ჩაიგდო, სხვებიც გაურკვევლად მხრებს იჩეჩდნენ და არც ძაღლი აპირებდა თავისი პატრონის ვინაობის გამხელას.

იმის მერე აღარ გამოჩენილა — ცოდვები გამოუჩხრიკეს, ჩამოაქვეითეს და სიცოცხლის ბოლომდე ბაზარში მუშაობდა, — ერთთავად შესასვლელში იჯდა და ხელში ისევ... ქვითრები ეჭირა.

გაიხარა სოფელმა, ცოტა გული მოიოხა.

გასაკვირია, — საწყენზე აღარაფერს ვამბობ — ისე ცხოვრება როგორ უნდა „მოახერხო“, რომ გარშემო ერთი ნამდვილი გულშემატკივარი არ გყავდეს, ერთი მადლიერი თვალი არ შეგხაროდეს შენს არსებობას, სოფელ-ქვეყანაში შენი გამოჩენა ჭირისა და ხორვილის ჩამოვლის ტოლფასი იყოს, შენი მაყურებელი მხოლოდ იმის მომლოდინე იყოს, ფეხი როდის გადაგიბრუნდება...

მაგრამ თუკი ძაღლი მიხვდა, რომ ზედ შედგომა არავის არ უნდა აპატიო, ხალხმა როგორ ვერ მოიხაზრა, ერთხელ მაინც კუდამოძუებული ერბენინებინათ ქალაქშიმდე. ვინმეს რკინის ქალამანი ჩაეცვა, ხელში რკინის ჯოხი აეღო და გაერკვია: ყველას რომ ცოფავდა, კანონს ვერ გადაუხვევო — ვინ უთხრა, ომით გაჩანაგებულ ოჯახებს, ქვრივ-ობლებს უკანასკნელი ლუკმა წაართვიო? ასეთი კანონი, ცხადია, არ არსებობდა. მისი სისწორე სადღაც ქალაქსა და სოფელს შუა ირღვეოდა იმ დოზით, რამდენადაც ფინაგენტის სულმდაბლობა ჩათვლიდა შესაძლებლად.

ეს და მისი მსგავსნი ვერც თავის მოსვლით მოიტანენ სიხარულს და ვერც წასვლით — მწუხარებას, ვერავის ეტყვიან — მე ჩემი ადგასრულე და ახლა ვკვდებიო. ისინი ხელიჩოს მარტივი, მაგრამ პრაქტიკული კანონებით ცხოვრობენ, სულსა და მოვალეობაზე ნაკლებად ფიქრობენ. ავიწყდებათ, რომ მათი ზარიც დარეკავს და დავიწყების სწრაფი ნიაღვარი გადაშლის ადამიანთა მახსოვრობიდან, როგორც მასწავლებელი დაფაზე შეცდომით გამოყვანილ ამოცანას, სადაც თითქოს ყველაფერი სწორია, რიცხვებიც, ამოხსნის წესიც, მაგრამ რაღაც რჩება ნაშთივით და ეს რაღაც სინდისია — ფეხსაცმლის ძირებივით რომ ამოიკრებს და მთელი სიცოცხლე ზედ იარეს...

ერთხელ ავტობუსით შინ ვბრუნდებოდი. გვიან იყო. სკამებზე რამდენიმე მგზავრის ძილმორეული თავი ქანაობდა. რატომღაც ძალზე ცუდ გუნებაზე გახლდი. თავი არ ამიღია, ფული ისე გავუწოდე კონდუქტორს. ქალი იმაზე მეტ ხანს შეეყოვნდა, ვიდრე ბილეთის მოხევას სჭირდება და ვიგრძენი — მაკვირდებოდა, თითქოს უფრო მეტის გაგება სურდა, ვიდრე ჩემი დამუავებული გამომეტყველება ეუბნებოდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გამაღიზიანა და ის იყო წყრომით ავხედე, რომ ქალმა სწრაფად გამოშალა ხვეულა, რამდენიმე ბილეთი წაახია და მხოლოდ ამის მერე გამოიწოდა ჩემი ბილეთი. გამიკვირდა, ასე რად მოიქცა-მეთქი, დავხედე — „ბედნიერი“ ბილეთი იყო: ნომერი ერთნაირი რიცხვით იწყებოდა და მთავრდებოდა.

უცებ ისე გამიხარდა, თითქოს მოწყენილმა ბავშვმა საბავშვო ბაღის ფანჯრიდან მომავალი მშობელი დაინახა. კონდუქტორის გაღიმებულ სახეს მადლიერმა დავუქნიე თავი. მიზანს მიაღწია მისმა დიდმა სურვილმა — ადამიანი მდგომარეობიდან გამოეყვანა. მე არ ვიცი, იმ წუთას ამ უბრალო, გულუბრყვილო მოქმედებაზე მეტად რა გამახარებდა. განა არ ვიცი, რომ ეგრეთწოდებულ ბედნიერ ბილეთებს იგივე მოაქვთ, რაც დანარჩენებს, რომ ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე ჩვენი მგზავრობის უფლების გარდა არავითარი ფუნქცია არ აკისრიათ და, ცხადია, ვერც ჩვენი ბედისწერისას გვეტყვიან რამეს. მაგრამ კონდუქტორი? — მთელი დღე ფეხზე დგომით, ათასგვარ ხასიათთან ურთიერთობით, აყალმაყალით გულგაწყალებული, რომელსაც კიდევ შერჩა იმდენი ენერგია და სიკეთე, რომ უსიტყვო მოქმედებით გითხრას: ცხვირი ნუ ჩამოგიშვია, ყველაფერი კარგად იქნებაო?! — ამიტომ, როგორი მოჯადოებული წრეც არ უნდა შეიკრას შენს გარშემო, ხელს მაინც ნუ ჩაიქნევ, სიკეთე მაინც დადის ქვეყანაზე ადამიანის სახით და გიცნობს თუ არ გიცნობს, ცხვირწინ ცხოვრობს თუ ათასეული კილომეტრის მანძილზე — მაინც ზრუნავს შენზე, შენი კეთილდღეობა სურს და დღენიადაგ გამხნევებს, მოსაწყენ დღეების გადასახედს გიფერადებს...

* * *

ძაღლისა და ფინაგენტის ამბავს რომ გიყვებოდი, ერთი შემთხვევა გამახსენდა:

ის დრო იყო, მზე უკანასკნელად რომ იძალებს, დააცხუნებს — გეგონება, ზაფხული შემობრუნდაო. მაგრამ როგორც კი შუადღეოდან გადავა, ერთბაშად ჩაცხრება. თვალის დახამხამებაში აშრება ანეულებზე გაფენილი სინათლე და შემოდგომის გრილი ნიავი შემკრთალ ფოთოლს ერთმანეთს დაადევნებს, გზებზე ჩამოფენს და მერე ყველას ღობისძირებში მიაგროვებს.

ბიძაჩემი სხვა სოფელში, ნათესავთან მიდიოდა. არ უნდოდა ჩემი წაყვანა — დაიღლები, ჩემო სატარებელი გახდებიო, მაგრამ მგზავრობის სამზადისში გართულს ძეძვივით გამოვედე ფეხებში, აღარ მოვეშვი და ისღა თქვა — პირი მაინც დაბანეთ, ასე გაზუნტლული ვის მივაყენოო...

ჩამკიდა ხელი და წამიყვანა...

გავიარეთ ერთი სოფელი. მეჭურის ხიდზე გადავედით და დაბურულ ორღობეში შევედით. აქეთ-იქით კაკლები იდგა. ერთი-ორჯერ ფოთლებში მიმალულ, დამჭკნარ წენგოს წავკარით ფეხი — ეგებ კაკალი ეგდოსო, მაგრამ საიდან, ვინ გააჩერებდა, — რამდენმა აიარ-ჩაიარა ჩვენამდე.

ბიძაჩემი შეჩერდა. ღობიდან ვენახში გადაიხედა. მიაყურადა, პატრონი არ იყოსო და იქვე, ხის ძირში წენგოს წვენით გამწვანებულ ქვებს დასწვდა. მარჯვე ხელი ჰქონდა — ორჯერ ესროლა და გაკროლილი თუ გაუკროლავი სეტყვასავით წამოვიდა... დავიტენეთ ჯიბეები, ამოიღო ვაზის სასხლავი, კაუჭა დანა — მივდიოდით და კუჭავს, ორად გადასხნილი კაკლიდან დანის წვერით ამოაგდებს ხოლმე კანშეუვეთლებულ ლებანს. მომაწვდის — ჩავახრამუნებ და ისევ ხელებში შევცქერი...

ამ სოფელსაც გავცდით. მეორე სოფლის ბოლოში გავედით და ჩვენი ჯიბეებიც დაიცალა. ამდენმა კაკალმა თუ გაწყინა, ჩემი ბრალი არ იყოსო, მეუბნება და სისტარიან დანას ტაცუნით კეცავს. უცებ ზურგს უკან ყეფა მოგვესმა. ასეთი ყეფა დიდმა, ძლიერმა ძაღლებმა იციან, — მოგუდულ, ბოხ ხმას გამოსცემენ. შევბრუნდით — თეთრი, ბომბორა ძაღლი მოგვდევდა, იმ სოფელში მეცხვარეები ცხოვრობენ, — მტკაველზე აღებდა პირს და ისეთი ღრიანცელით მოდიოდა, თმები ყალყზე წამივიდა, ავკანკალდი, ლამის ადგილზევე გავქრი. ერთ წამს ბიძაჩემიც დაიბნა, მერე რიყის დიდრონ ქვას დასწვდა, ამომეფარა და ხელი თითქმის ზედ მომდგარი ძაღლისაკენ გაიქნია. ქვა და ძაღლის ცხვირ-პირი ერთმანეთს შეეჯახნენ, ვეება თეთრი მასა შესაბრალისი წკავწკავით, ჰაერში ავარდა და ქარის მოტაცებული ზეწარივით ღობეზე გადაეკიდა.

„არ დაგვინახონ, თორემ დაგვხოცავენ, მეცხვარეს შვილს ურჩევნია ძაღლიო“, — მითხრა და გავიქეცით...

მერე იხსენებდა ხოლმე: შენ რომ შეგეშინდა, იმან მომიყვანა აზრზე, თორემ მარტოს ნამდვილად მიკბენდა, ისე დავიბენი... რაზე გამოგვაგლეჯავდა ყველაფერს და ცარიელ-ტარიელს დაგვტოვებდაო, — დაამთავრებდა სიცილით...

საწყალი ბიძაჩემი. ავადმყოფობით გაწამებული გარდაიცვალა. იწვა ჩემს წინ მდუმარე და უცებ გაუცხოებული. დავყურებდი მის უმოძრაო ხელებს, ჩაცვენილ პირისახეს და ასე მეგონა, ისიც იმ ცოდვიანმა ქვამ იმსხვერპლა — ოცდახუთი წლის წინ ნასროლი ასხლტა და რიკოშეტით დაუბრუნდა მსროლელს.

ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს, იქნებ ოდესმე ჩვენი უნებლიე ცოდვებიც მკაცრად მოგვეკითხოს...

იქნებ-მეთქი, არ ვიცი...

* * *

ბუნებაში ყველაფერი საოცარი სიზუსტითა და აუცილებლობით არის დაწყვილებული: დღე და ღამე, ცოდო-მადლი, მზე და მთვარე, მწუხარება და სიხარული, კეთილი და ბოროტი... ერთმანეთის უარმყოფელი და ამავე დროს უერთმანეთოდ წარმოუდგენელი ცნებები.

ცხადია, პირველმთქმელობას ვერ დავიჩემებ, მხოლოდ გავიმეორებ, რომ ცხოვრება კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა.

კაცი — ბოროტი და კაცი — კეთილი.

სამწუხაროდ და საბედნიეროდ არც ერთი დალეულა და არც მეორე. ესეც მარადიულად ერთად მოსიარულე წყვილია — სძულთ ერთმანეთი, მაგრამ მაინც იდუმალი ძლარებით არიან გადაბმულები. შენ რომ ცხრა ძმა ხერხეულის თავდადებით იყავი აღტაცებული — იქვე ქირქილებდა გორგასალის მკვლელი... ასე იყო ოდითგანვე, მაგრამ ეტყობა სიკეთე უფრო დიდი იყო, რაკი აქამდე მოვაღწიეთ და ღვთისა და გონიერი კაცის შეწევნით — კიდევაც ვიქნებით...

ეს ორი კაცი დღესაც დადის ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში. წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით ტანსაცმელი გამოუცვლიათ, მათი ასპარეზიც გადასხვაფერებულა, მაგრამ სული ვერ შეცვლილა: ვისაც სიწმინდე დაენათლა, ასევ დარჩა, ვისაც სიმყრალე — ისევ მყარს.

ერთ სოფელში საკმაოდ გადატვირთული სამანქანო ტრასა გადის, ტრასაზე კაცი მილაყუნობდა, როგორც ზოგიერთმა იცის ხოლმე — დაუდევრად. მოახლოებული ავტომობილის სიგნალს ყურადღება არ მიაქცია, მისკენ არც გაუხედავს, ისე გადაჭრა გზა. მანქანას მუხრუჭებმა უმტყუნეს თუ ნაწვიმარზე მოსრიალდა — კაცს ფრთა გამკრა და გზისპირა თხრილში ისროლა.

წარმოიდგინე მანქანადაჯახებული კაცის მდგომარეობა, უპირველესად (თუკი აქვს ამის თავი) გაიფიქრებს, გადარჩა თუ არაო. ამან კი, გვარიანად დაბეჯილმა და ნეკნებჩალეწილმა, თითქმის დაცემამდე, ჰაერშივე იყვირა: ნომერი ჩაიწერეთ, ნომერიო!...

ვიღაცამ მართლაც ჩაიწერა თუ დაიხსომა.

იკითხავ: ნომერი რად უნდოდა ყოფნა-არყოფნის სასწორზე დადებულ კაცსო! სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი, გულისამრევი შორსგანჭვრეტა და მუდამი.

კაცმა კაცს (მძღოლს) კაცი მიუგზავნა: ან ფული, ან ციხეო. იმასაც, ცხადია, ფულის გაცემა ერჩივნა, მაგრამ არა იმდენის, რამდენსაც დაზარალებული მოითხოვდა — თუკი მაშინ, წონასწორობადაკარგულმა იყვირა, ნომერი ჩაიწერეთო, აზრზე მოსული თავის თითოეულ ნეკნს რა ფასს დაადებდა! კაცის გულში ვინ ჩაიხედოს, თორემ ეგებ დარდობდა კიდეც, რატომ ფეხიც არ მიმყვა, მაშინ ხომ უფრო აიწევდაო. რა ვიცი, ეს ჩემი ვარაუდია, სიხარბის ბუნებიდან გამომდინარე...

ირბინა აქეთ-იქით შუამავალმა, დაქნა გზები, ჰაი ნათესავები, ჰაი უყვავი-ჩხიკვის მამიდაო, და როგორც იქნა მოარიგა, — საწოლზე წამოგორებულს ჩაუთვალა სძლოლის გატანებული და ვითომც არაფერი მომხდარა, ვითომც დედის მუცლიდან დაყოლილ ნეკნებს ბუზიც არ აფრენოდეთ — ეგრე ბინძური ხელისბანვით მიჩუმათდა ყველაფერი.

მორალიდან გამომდინარე, მარტო პირველი წამოძახების გამო იყო დამმუქრებელი სახელის ღირსი, მაგრამ ეს მხოლოდ მორალია, ქაღალდზე ვერ გადავა, საქმეში ვერ ჩაიდება, გატეხილ ნეკნს დამაჯერებლობით ვერ აჯობებს...

დაიჯდომება იმ კაცთან?

ვინ დგას მის საპირისპიროდ, როგორც მზიანი მხარე?

ერთ ზაფხულს მთიულეთში, ბედონში ვიყავი სტუმრად.

მასპინძლებმა ჯვრის უღელტეხილზე წამიყვანეს. ახლა არ ვიცი და მაშინ იქ მეტეოსადგური იყო. მთელი დღე სადგურში დავყავით და ღამის გათევაც იქ მოგვიწია...

საღამო ხანზე, მზე რომ ოდნავ ჩაცხრა, შუახანს მიტანებულმა კაცმა, ალექსას რომ ეძახდნენ, გაღმა ფარეხებიდან ჰედილა გადმოიყვანა, სადგურის ეზოში გააჩერა, ოფლიანი შუბლი მოიწმინდა და ცხვრის დანახვით გახარებულ თანამშრომლებს უთხრა:

— ეს ჩვენს სტუმარს დავუკლათ. სულ თვითონ ხომ ვერ აუვა, ცოტას ჩვენც გვიწილადებს... ასე არ არის, გენა?.. (გენაცვალეო) — მომიბრუნდა მე. უხერხულად შევიშმუშნე და გავწითლდი, ჩემი გულისთვის როგორ შეწუხდა-მეთქი. ის კი იდგა, ცხვრის ქიჩოზე ცალ-ხელჩავლებული, მტკიცედ შეკრული სხეულით, მზით გამოშაშრულ ვაჟკაცურ სახეზე უცნაურ შუქდაფენილი. ზღაპრებისა არ იყოს, მართლა მზეს ეჭიბრებოდა თვალებიდან გადმოღვრილი უხინჯო სინათლით.

მთელი ის საღამო ალექსას ვაკვირდებოდი — გვარი არ მახსოვს, ანდა აქვს კი მნიშვნელობა? — წამალაიძე, ნაზღაიძე, ბუჩუკური, ბედოიძე... ან რომელიმე სხვა გვარის იქნებოდა — მთავარია, რომ ქართველი კაცი იყო. ვაკვირდებოდი-მეთქი, და მარტო მე კი არა, ყველას გუმანი მისკენ იყო მიპყრობილი: ის რას მოიმოქმედებდა, რას იტყოდა. განზეც რომ მდგარიყვნენ, თითქოს მაინც მის გარშემო ფუსფუსებდნენ. რა იყო ამ ნდობის, თუ გნებავს, მორჩილების მიზეზი — რომ გკითხათ, ეგებ ვერც იმათ ეთქვათ და ვერც თვითონ ალექსას აეხსნა.

მიზეზი ის სინათლე, უანგარობა და გულისგაშლა იყო, რომელიც მკაფიოდ იკითხებოდა მის სახეზე, საქმიანობასა თუ მიხრა-მოხრაში...

ცხვრის ხორცის ტრფიალი მე არ ვიყავი, მაგრამ ისეთი მზრუნველობით არჩია ქვაბში ნაჭრები — გამხდარი ხარ, მსუქანი არ გეყვარებაო — ისე დამიდგა ორთქლიანი ჯამი, რომ მივხვდი: უარის თქმა ღიმილდაფენილ სახეს დაამსხვრევდა, დაანაღვლიანებდა.

ხათრი ხათრად დარჩეს და ისე გემრიელად არც მანამ და არც მერე არ დავნაყრებულვარ.

— ამ მთებს გაუმარჯოს, აქედან დაწყებულ საქართველოს, მის მისხის-მისხს გაუმარჯოსო! — ალექსას ხმა ისე უკანკალებდა, თითქოს პირველი სიყვარულის აღსარებას ამბობსო, და მის შემხედვარეს მჯეროდა, რომ ის იყო სამასმეერთე, კრწანისს შეწირული არაგველების თითქმის საუკუნენახევრის მერე მოვლენილი უმრწემესი ძმა.

მერე ვიღაცამ ფანდური მომართა, სიმღერაც წამოიწყო, მაგრამ მელოდია და ხმა ცალ-ცალკე გაექცა.

— მოიტა აქ, ბალღო! — ხელები გაიწმინდა ალექსამ. — სიმებს რას აწვალებ, თქვენებურებმა სიმღერისა ან დაკვრისა რა იცით, თვითმფრინავი რომ გადაივლის, ჯერ კიდევ ჩიტი გგონიათ და თოფებით მისდევთო.

ყველამ გაიცინა. აქეთ-იქიდან სხვაც ბევრი რამ დააყოლეს, მაგრამ სიმღერადაწუნებულს არ სწყენია, დანარჩენებზე გულიანად ის კუჭკუჭებდა.

სხვა დროს, სხვა შემთვრალ სუფრაზე რაც ალექსამ თქვა, ეგებ გაწევ-გამოწევის საბაბიც გამხდარიყო, მაგრამ აქ ყველაფერს მთქმელის ტონი, უღვარძლო იუმორი და სინათლე აწონასწორებდა...

დამთავრდა ქეიფი, ალაგდა სუფრა. საწოლიც მომიჩინეს.

— დაგახურებ კიდევ რამეს, მთამ არ დაგცადოსო, — მითხრა ალექსამ, მაგრამ არცით შეხურებულმა ვიუარე.

შუქი ჩააქრეს. ყველა აქეთ-იქით მიწვა...

შუაღამისას რაღაცამ გამაღვიძა. სიბნელეში ვიღაც წამოდგა. ჯერ თავის საბანზემოდან გადაფენილი ტყაპუჭი ჰიდო, მერე ხელის ფათურით საკიდართან მივიდა, პალტო ჩამოხსნა, ფეხაკრეფით მოვიდა და ორივე წამაფარა.

ალექსა იყო, ფხიზელი და ყველაფრის მიმხვედრი ალექსა...

აი, იმ საკუთარი ნეკნებით მოვაჭრის საპირისპირო, მზიანი მხარე ვინ არის. ფიზიკური მსგავსების გარდა რა აქვთ საერთო! შორიდან რომ შეხედონ ერთად მომავლებს, იტყვიან, ორი კაცი მოდისო.

ნამდვილად ორი მოდის?

* * *

ქალაქს დიდი, გაოცებული მთვარე დაჰყურებს და დაგვიანებულ მგზავრს გზას უნათებს. ის ერთია სამყაროში, მაგრამ ამავე დროს ბევრია, ძალიან ბევრი — იმდენი, რამდენი სარკმელი და თვალიც არსებობს. ამიტომ არავისი და ყველასია, როგორც სიცოცხლე, სიკეთე, სილამაზე, სამშობლო და სხვა დანარჩენი...

ასევე გულმოდგინედ დასცქერის მთვარე სოფლებს, ტყეებს, ჩაფიქრებულ მთებსა და ნახნავებით მკერდგაღეღილ ველებს. ისევ ირეკლება გარინდულ ხარის თვალებში და აღიზიანებს მგლების ხროვას: „ამოდის, ნათდება!“...

„ახ, მთვარევ, მთვარევ“... რამდენი რამ მომხდარა მის თვალწინ, მაგრამ მაინც სულ ასე გულუბრყვილოდ გაოცებული ასხოვს კაცობრიობას.

რატომ?

იქნებ კაცობრიობისა უკვირს — ათასეული წლების გამოცდილების მიუხედავად ხშირად რომ მაინც უნებისყოფო, გონებადახშულ და ნერვიულ მოწაფესავით გამოიყურება!

სხვის სახნავ-სათესზე გაფაციცებულს თავისიც ოხრად ხომ არ რჩება?

ან იქნებ ვინმეს უდიდესი ცოდვა არ მოეკითხა და უკვირს — გარშემო მყოფები რამ დააბრმავა და დაამუნჯაო!

ვერაფერს გეტყვი. ერთი კი ვიცი, რომ შენი არსებობა ძალიანაც უხარია და თავისი მკრთალი შუქით ისევე გეფერება, როგორც ბანანისხეამია შავტუხებს თუ ტუნდრელ, ტყაპუჭში ჩათბუნებულ პატარა მეოცნეებს.

იღიმება მთვარე, ტკბილ ძილს, ლამაზ სიზმრებს, გონიერებასა და სიფხიზლეს გისურვებს.

უკეთესს ვერც მე ვინატრებდი შენთვის.

და კიდევ იმას... გზაზე მომავალი ორი კაციდან კარგად იცი, შენ რომელიც მინდა იყო.

გული, ჩემო ოთარ, გული...

კინორეჟისორ ოთარ აბესაძის ხსოვნას

ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინ საავადმყოფოში გნახე. განაწამები, ჩათეთქვილი ფერი გედო.

— ბიჭო, არ გადამრიო, აქ რა გინდა: რამდენჯერ გითხარი, გულს არ აჰყვე-მეთქი!

— ჰო, ალბათ უგულოდ ჯობია, — გაგეღიმა.

შენ სხვანაირი, შენმიერი, მტკივანი, ლამაზი ღიმილი იცოდი. ღიმილი ძნელად თუ წამოგცდებოდა და როცა წაგასწრებდი, აგიჩხუბდებოდი:

— ე, ბიჭო, ასე, გაიღიმე. გაიცინე, რომ შენი გული სხვამაც დაინახოს.

— კი, თუ გიჭერის და ქვეყნის დასანახად ეღიმება...



შენი გულისტკივილი იყო სოლომონ მორბელაძის „კარდაკარ“ წაწვალი და მოტყუებული და მოტყუებელი აზნაურის გულისტკივილი.

გული შენ მაშინაც გტკიოდა, როცა ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს, 1961 წელს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში, რომანი „ვარსკვლავთცვენა“ რომ იბეჭდებოდა. გული გტკიოდა ომში დაჟლეტილ ჩვენს მამულიშვილებზე და გაძაღლებულ, ბავშვობადაკარგულ ჩვენს ბავშვობაზე.

იმდენი იწვალე, იმდენი გულისხეთქვა და ნერვების გლეჯა დაგჭირდა ისეთი ნაღდი მასალა რომ შეგექმნა ფილმისთვის და როგორ მოგიკვდა გული, რომ იმ შენმა პირველმა დამოუკიდებელმა ნაღვაწმა მზის ნათელი ვერ იხილა. გულში ჩაიკალი ქვეყნის იმოდენა სატკივარი და შენს ხალხს და ქვეყანას ვერ გაუზიარე.

გული გისკდებოდა, შენი სიყრმის ეზო-კარი, ოდა-სახლი და ბაღვენახი რომ დაინგრა, სადაც დედაშენის ნათელი გებულებოდა. და როგორ ნასხვსარივით გტკენდა გულს, თვალატირებული, დარდით გატეხილი, ფუძემოშლილი მამაშენი რომ ახალ ეზოს ღობავდა.

გულისტკივილი იყო „მალე გაზაფხული მოვა“ მიტოვებული, გაპარტახებული ეზოებისა, სოფლის საფლავებისა და ეული, კერიაზე წყალდასხმული მამებისა.

გულისტკივილი იყო ხელოვანის, შემოქმედის და მშრომელი ადამიანის, საქმოსანთა და კომბინატორთაგან ათვალწუნება, — „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“.

ისევ და ისევ გულისტკივილი და მიწის ტკივილი იყო „აჩარეკლი“.

გულისტკივილი იყო შენი ქვეყნის ბუნების დასახიჩრება და ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა — „ესკულაპის მოწაფე“.

გულისტკივილი მრავალ უთქმელ და სათქმელ უკურნებელ სატკივარზე.

მღელვარე იყო, ჩემო ოთარ, მთელი შენი ცხოვრება, შემოქმედება და ამ ქვეყნიდანაც ასე ნაადრევად და გულსაწყვეტად წასვლის მიზეზიც.

ოტია იოსელიანი

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ პოეტ ივანე თარბას ძმის

რუსლან კონსტანტინეს ძე თარბას

გარდაცვალების გამო.

ჟურნალ „პიონერის“ კონკურსი

ჟურნალი „პიონერი“ აცხადებს კონკურსს საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებებზე, რომელიც გამიზნული იქნება მოზარდთა კომუნისტური ზნეობის პრინციპებით აღზრდისათვის, მათში პატრიოტიზმის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებისათვის. ნაწარმოებში ასახული უნდა იყოს დიდი ლენინის ანდერძისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი დღევანდელი მოზარდი თაობის ერთგულება, ინტერნაციონალური სულისკვეთება, სწავლა, შრომა, პიონერული საქმიანობა, მეგობრობა, უფროსებისა და თანატოლებისადმი დამოკიდებულება, დასვენება...

მიიღება სათავგადასავლო და ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობები, პიესები, ლექსები, პოემები (მოთხრობის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 საავტორო თაბახს, პიესისა — 2 მოქმედებას, პოემისა—300 სტრიქონს).

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 5 პრემია.

ერთი პირველი პრემია — 500 მანეთის ოდენობით.

ორი მეორე პრემია — თითოეული 300 მანეთის ოდენობით.

სამი მესამე პრემია — თითოეული 200 მანეთის ოდენობით.

საკონკურსო მასალები უნდა გადაიბეჭდოს მანქანაზე და გამოიგზავნოს ორ ცალად, დევიზით; ცალკე კონვერტში იმავე დევიზით აღინიშნოს ავტორის მისამართი და ვინაობა.

პრემირებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „პიონერში“, აგრეთვე დაიბეჭდება ცალკე წიგნად „პიონერის“ ბიბლიოთეკის“ სერიით.

საკონკურსო მასალების მიღება მთავრდება 1981 წლის 30 აპრილს. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 1 ივნისისათვის.

მასალები მიიღება შემდეგი მისამართით:

თბილისი, 380096, ლენინის ქ. № 14, ჟურნალი „პიონერი“. კონკურსისათვის.

გამოდის პარასკეობით
(ფასი 10 კაპ.)

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი. 380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.
ტელეფონები: რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 10367